1968

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# კრებული

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

**4-5**

აპრილი—მაისი

თბილისი—1968

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა

1968 წლის 12 მარტი

**ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე, ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესრულების მიმდინარეობისა და მისი ცხოვრებაში გატარებისათვის სახალხო განათლების ორგანოებისა და პროფკავშირის კომიტეტების მუშაობის შესახებ**

საბჭოთა ხალხმა და მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ამას წინათ აღნიშნეს ღირსშესანიშნავი თარიღი—დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავი.

ამ დიდებულ თარიღს საბჭოთა ხალხი შეხვდა მნიშვნელოვანი წარმატებებით ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში.

თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანეს აგრეთვე განათლების მუშაკებმა საბჭოთა სკოლის მშენებლობასა და განვითარებაში, მოზარდი თაობის სწავლასა და აღზრდაში.

აუცილებელია მომავალშიც განათლების მუშაკებმა განამტკიცონ წარმატებები, რომლებიც სკოლის განვითარებაშია მიღწეული გასული 50 წლის მანძილზე და მთელი თავიანთი საქმიანობა დაუმორჩილონ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესრულებას, რომელშიც კონკრეტულად ასახულია

სახალხო განათლების განვითარებისა და სრულყოფის შესახებ სკკპ XXIII ყრილობის მითითებები.

ეროვნული

პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავენ, რომ პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით განათლების მუშაკთა პროფკავშირულ აქტივთან, მშობლებთან და რესპუბლიკის ყველა მშრომელთა შორის ჩატარებულია დიდი მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილების მნიშვნელობის განმარტებისათვის.

აღნიშნული დადგენილება ფართოდ იქნა განხილული განათლების ორგანოების და პროფკავშირის კომიტეტების ხელმძღვანელ მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე, პროფკავშირის საქალაქო, რაიონული კომიტეტების პლენუმებზე, სახალხო განათლების აქტივის კრებებზე, პედაგოგიურ კოლექტივებში.

1. სკოლისადმი სახალხო ზრუნვის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების საუკეთესო მომზადებისათვის რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაათ წლისთავს მიეძღვნა.

შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს ქ. ქ. თბილისმა, ჭიათურამ, ზუგდიდის, გორის, თელავის, ცხაკაიას რაიონებმა. მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს აგრეთვე ქ. ქ. ქუთაისმა, ბათუმმა, გურჯაანის, მახარაძის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ზესტაფონის რაიონებმა.

ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოთა ძალებითა და სახსრებით 188 სკოლის შენობას მიშენდა 628 საკლასო ოთახი 11.832 მოსწავლის ადგილით, რაზეც 3 მილიონ 190 ათასი მანეთი დაიხარჯა.

სკოლები შეივსო ახალი სასწავლო კაბინეტებით, ლაბორატორიებით, ინვენტარით, ავეჯით და ა. შ.

ამასთან ერთად, რესპუბლიკის რიგ რაიონებსა და ქალაქებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად წყდება სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებასა და რვაწლიანი საყოველთაო სწავლების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები.

პროფკავშირული და სახალხო განათლების ორგანოები პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობით, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დახმარებით, საწარმოთა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების ფართო საზოგადოებრიობის მიზიდვით უნდა აჩაღებდნენ ქალაქებისა და რაიონების შეჯიბრებას ახალი, 1968/69 სასწავლო წლისათვის საუკეთესოდ მოსამზადებლად.

ა მ მ ი ზ ნ ი თ:

პროფკავშირის კომიტეტებმა და სახალხო განათლების ორგანოებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ახალი ვალდებულებების შემუშავებაში, რომლებიც უზრუნველყოფენ განათლების სახალხო-მეურნეობის გეგმის შესრულებას, სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომ განმტკიცებას და 1970 წელს საყოველთაო განათლების განხორციელებისათვის საჭირო პირობების შექმნას;

სისტემატურად შეამოწმონ ქალაქების, რაიონების, სკოლების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება, ფართოდ გააშუქონ შეჯიბრების მიმდინარეობა პრესაში, რადიოთი, ტელევიზიით.

2. სკოლის შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად გატარებულია რიგი ღონისძიებები სასწავლო გეგმებისა და პროგრამების სრულყოფისათვის. 1967/68 სასწავლო წელს სკოლები რიგ საგნებში გადავიდნენ ახალ პროგრამებზე.

მასწავლებელთა და პედაგოგიური კოლექტივების უმრავლესობა 1967 წელს წარმატებით მუშაობდა მოსწავლეთა მეცნიერების საფუძვლების მყარი ცოდნით შეიარაღებისათვის, ამზადებდა ახალგაზრდობას ცხოვრებისათვის, მუშაობას ეწეოდა პროფორიენტაციისათვის, თანმიმდევრულად და უნარიანად უნერგავდა მოსწავლეებს მაღალ კომუნისტურ შეგნებულობას.

გასულ სასწავლო წელს ბევრმა მასწავლებელმა მიაღწია სრულ მოსწრებას.

მაგრამ რესპუბლიკის რიგ სკოლებში ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი მოსწავლეთა ცოდნის ხარისხისა და მეორეწლიანობის აღმოფხვრის პრობლემა.

გასული სასწავლო წლის შედეგებით მეორე წელს დატოვებულია კლასში 38.596 მოსწავლე (4,5%).

ეს იმას მოწმობს, რომ გასულ წელს ყველა პედაგოგიური კოლექტივი არ მუშაობდა შემოქმედებითად, სწავლებისა და აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზრდის ეფექტურობისათვის მასწავლებელთა ბრძოლას არ მიუღია მასობრივი ხასიათი, მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი კვლავ დაბალ იდეურ-პოლიტიკურ, მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე ატარებს გაკვეთილებს.

ბევრ სკოლაში ღრმად გააზრებული არ არის ბავშვთა აღზრდისა და მათი დამოუკიდებლობისა და ინიციატივის განვითარების სისტემა, რიგ სკოლებში განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული შრომითი სწავლება და მოსწავლეთა აღზრდა.

პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი და განათლების სამინისტროს კოლეგია ავალებენ პროფკავშირულ ორგანიზაციებსა და სახალხო განათლების ორგანოებს მიიღონ ზომები სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის შემდგომი სრულყოფისათვის, მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების გაუმჯობესებისათვის, მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლებისათვის, სახელმწიფო სასკოლო პროგრამების უცილობელი შესრულებისათვის, მოსწავლეთა ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ფიზიკური განვითარების გაუმჯობესებისათვის.

პროფკავშირის კომიტეტებისა და სახალხო განათლების ორგანოების ყურადღება განსაკუთრებით მიექცეს მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას როგორც სწავლების პროცესში, ისე კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის მთელ სისტემაში. საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად უნდა ვაუმჯობესოთ მსოფლიოს და სამამულო ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის კურსის სწავლების დონე, ვუნერგავდეთ მოსწავლეებს მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას, ვზრდიდეთ ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების სულისკვეთებით.

მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის გაძლიერების მიზნით ყოველი მასწავლებელი ფართოდ უნდა იყენებდეს თავის მუშაობაში სკკპ ცკ თეზისებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის შესახებ და პარტიის სხვა დოკუმენტებს, მიძღვნილს დიდი ოქტომბრის ნახევარი საუკუნის იუბილესადმი.

პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი და განათლების სამინისტროს კოლეგია მიაქცევს პროფკავშირულ

ორგანიზაციებისა და სახალხო განათლების ორგანოების ყურადღებას, რომ ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საჭიროა მუდამ სრულვყოფდეთ მასწავლებელთა შრომის ორგანიზაციასა და სკოლის მართვას. ამისათვის თვითეულმა სკოლამ უნდა შეიმუშაოს შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებები, რომელთაც საფუძვლად უნდა ედოს თვითეული მასწავლებლის მიერ მუშაობის უფრო ეფექტური საშუალებებისა და მეთოდების გამოყენება, საუკეთესოთა გამოცდილების ფართოდ დანერგვა, შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება, სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოებისა და სწავლების ტექნიკური საშუალებების აქტიური გამოყენება, მასწავლებლის სისტემატური, დამოუკიდებელი მუშაობა საკუთარი ცოდნისა და პრაქტიკული უნარის გაფართოებისათვის, მასწავლებლის დროის ბიუჯეტის მოწესრიგება და მისი შრომისათვის საუკეთესო პირობების შექმნა.

პროფკავშირული ორგანიზაციები და სახალხო განათლების ორგანოები უნდა აღწევდნენ, რომ ყოველი მასწავლებელი თავისი შრომის უფრო რაციონალური ორგანიზების საფუძველზე აუმჯობესებდეს მოსწავლეთა ცოდნის ხარისხს, აძლიერებდეს აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობას.

პროფკავშირის კომიტეტები შრომის ორგანიზაციაში განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდნენ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, დაკისრებული საქმისადმი პასუხისმგებლობის ამაღლების სულისკვეთებით სახალხო განათლების ყოველი მუშაკის აღზრდას, ვინაიდან შრომის სწორი ორგანიზაცია შეუთავსებელია უდისციპლინობის ყოველგვარ გამოვლინებასთან, გულგრილობასთან, პასუხისმგებლობის გრძნობის დაკარგვასთან.

პროფკავშირული ორგანიზაციები და სახალხო განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელები ხელს უნდა უწყობდნენ თვითეულ სკოლაში შემოქმედებითად მომუშავე პედაგოგიური კოლექტივის შექმნას, სადაც ამხანაგური ურთიერთდახმარება, მეგობრობისა და ურთიერთ და ბავშვებისადმი პატივისცემის გრძნობა შერწყმული იქნება საკუთარი თავისადმი, ამხანაგისადმი მაღალ მომთხოვნელობასთან.

3. განათლების სამინისტროს კოლეგია და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ სახალხო განათლების დიდი და რთული ამოცანები მოითხოვენ მთელი

პედაგოგიური პროცესის მართვისა და ხელმძღვანელობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას, სკოლებისა და სხვა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ინსპექტირების დონისა და ხარისხის ამაღლებას.

საჭიროა პროფკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, სახალხო განათლების ორგანოებმა გააძლიერონ ყურადღება სკოლების დირექტორების, მათი მოადგილეების, ინსპექტორების მუშაობის სტილის გაუმჯობესებაზე; აამაღლონ მათდამი მომთხოვნელობა სკოლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებების მუშაობის ორგანიზაციისა და შინაარსის შემოწმების დარგში, ამასთან იზრუნონ მათი შრომის სწორი ორგანიზაციისათვის, მიაღწიონ იმას, რომ თავიანთი ყურადღების მაქსიმუმს უთმობდნენ პედაგოგიური პროცესის ორგანიზაციის საკითხებს.

4. ახალ სასწავლო პროგრამებზე სკოლების გადასვლა მოითხოვს სახალხო განათლების ორგანოებისაგან, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისა და პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან მეტი ყურადღება დაუთმონ პედაგოგიურ კადრებთან მუშაობას, მათ გადამზადებას, მეცნიერულ-თეორიული ცოდნის გაფართოებაში და პედაგოგიური ოსტატობის ამაღლებაში დახმარების გაწევას. ამის შესაბამისად კოლეგია და პრეზიდიუმი თვლიან, რომ ყველა პროფკავშირული ორგანიზაციისა და სახალხო განათლების ორგანოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ყოველმხრივი დახმარების გაწევა მასწავლებლებისათვის იდეურ-პოლიტიკური და მეცნიერული დონის ამაღლებისათვის გამუდმებულ დამოუკიდებელ მუშაობაში, პედაგოგიური ოსტატობის სრულყოფაში. კოლეგია და პრეზიდიუმი რჩევას იძლევა ყველა მეთოდური მუშაობა მასწავლებლებთან სკოლებში, რაიონებში, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში, რაიონულ მეთოდკაბინეტებში გარდაქმნან ისე, რომ მას საფუძვლად ედოს მასწავლებლის აქტიური დამოუკიდებელი მუშაობა, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა და მისი მუშაობაში შემოქმედებითად გამოყენების უნარი.

საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების დასწრებულ-დაუსწრებელ სისტემას.

პროფკავშირული ორგანიზაციები და სახალხო განათლების ორგანოები მეტ დახმარებას უნდა უწევდნენ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს კადრების გადამზადების გეგმების შესრუ-

ლებაში და საკურსო და სხვა ღონისძიებების შინაარსის გაუმჯო-ბესებაში, ფართოდ იზიდავდნენ უმაღლესი სასწავლებლების პრო-ფესორ-მასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებების გამო-ჩენილ მეცნიერებს მასწავლებელთა კადრების გადამზადებისა და თავის თავზე დამოუკიდებლად მუშაობაში დახმარების გასაწევად.

5. განათლების მუშაკთა სახლებისა და მათი ბიბლიოთეკების მუშაობის დონე ვერ პასუხობს თანამეროვე მოთხოვნებს. განსა-კუთრებით ცუდად მუშაობენ ისინი სოფლის მასწავლებლებთან.

პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი და განათლების სამინისტროს კოლეგია თვლიან, რომ პროფკავშირის კომიტეტების, განათლების მუშაკთა სახლებისა და მათი ბიბლიო-თეკების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა იდეურ-პოლიტი-კური, მეცნიერული და კულტურული დონის ამაღლებაში მასწავ-ლებლებზე დახმარების გაწევისათვის სისტემატური მუშაობის ორ-განიზება.

ამ მიზნით საჭიროა პარტიული ორგანოების დახმარებით ფართოდ მივიზიდოთ მასწავლებლები პარტიული განათლების ქსელში, მარქსიზმ-ლენინიზმის, კულტურის, მეცნიერული ცოდნის უნივერსიტეტებში, ფართოდ გაიშალოს სალექციო პროპაგანდა მასწავლებელთა მოთხოვნებისა და ინტერესების შესაბამისად, ტა-რდებოდეს თემატური საღამოები, მკითხველთა კონფერენციები, შეხვედრები მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეებ-თან. მეტი ყურადღება ეთმობოდეს მხატვრული თვითმოქმედების განვითარებას, განათლების მუშაკთა ფართოდ ჩაბმას ფიზკულტუ-რულ და სპორტულ მეცადინეობაში.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოფლის სკოლების მასწავლებლებთან მუშაობას. არდადეგების პერიოდში ეწყობოდეს მათთვის თეატრებში, მუზეუმებში სვლა, ექსკურსიები, ლაშქრობები, შეხვედრები მსახიობებთან, კომპოზიტორებთან, მე-ცნიერებთან. განათლების მუშაკთა სახლები მოვალენი არიან მოაწყონ მოძრავი ბიბლიოთეკები სოფლის სკოლებში, გააფართოონ მასწავლებელთა ინდივიდუალური აბონემენტები.

6. ასრულებენ რა ზემდგომი ორგანოების დადგენილებას სა-შუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, პროფკავშირული ორგანი-ზაციები და სახალხო განათლების ორგანოები პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით უფრო აქტიურად წყვეტენ მა-

სწავლებელთა უკეთესი სამუშაო პირობების შექმნის, მათი კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლების საკითხებს, მეტ მზრუნველობას იჩენენ შრომის კანონმდებლობის, განათლების მუშაკთა შეღავათებისა და უპირატესობათა შესახებ მთავრობის დადგენილებების შესრულებაში.

ამასთან, ბევრი პროფკავშირული ორგანიზაციისა და სახალხო განათლების ორგანოების საქმიანობა შრომის დაცვისა და ყოფა-ცხოვრების დარგში სრულად ვერ პასუხობს გაზრდილ მოთხოვნებს.

ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით პროფკავშირული ორგანიზაციები სისტემატურად უნდა ახორციელებდნენ კონტროლს შრომის დაცვის, საწარმოო სანიტარიის მდგომარეობისადმი, განათლების მუშაკებისათვის დაწესებული შეღავათებისა და უპირატესობათა, სოფლის სკოლის მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმების შესრულებისადმი და აქტიურ ზომებს ღებულობდნენ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

საჭიროა სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად თვითეულ რაიონში შემუშავდეს ღონისძიებები სოფლის სკოლების მასწავლებელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, აგრეთვე თვითეულ სკოლაში მომუშავეთა შრომის შემსუბუქების და გაჯანსაღებისათვის, განხილულ იქნას ეს ღონისძიებები პროფკავშირულ კრებებზე და შეტანილ იქნას შრომის დაცვის ღონისძიებათა შეთანხმებებში.

უფლებრივი ცოდნის პროპაგანდის გაძლიერების მიზნით განათლების მუშაკთა სახლებში ეწყობოდეს კონსულტაციები, საუბრები, ლექციები; მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კურსებისა და სემინარების სასწავლო გეგმებში გათვალისწინებულ იქნას შრომის კანონმდებლობის საკითხების სავალდებულო შესწავლა.

7. სახალხო განათლების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის, სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ამოცანები მოითხოვენ განათლების ორგანოებისა და პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას, თავისი საქმიანობისადმი პასუხისმგებლობის ამაღლებას.

სკოლის შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილების წარმატებით შესრულების მიზნით აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის, ყველა ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებებმა, პროფკავშირის

საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა გადახედონ ხსენებული დადგენილების შესრულებისათვის წინათ შედგენილ გეგმებს და შეიტანონ სათანადო კორექტივები, წარმართონ ორგანიზატორული მუშაობა მათი ცხოვრებაში გატარების უზრუნველსაყოფად.

8 საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი რწმენას გამოთქვამენ, რომ სახალხო განათლების ორგანოებისა და პროფკავშირის კომიტეტების მიზანდასახული და აქტიური ერთობლივი მუშაობა პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით გააძლიერებს პედაგოგიური კოლექტივების საქმიანობას საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის.

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ლ. მაღლაფერიძე**

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ. 22 მარტის ბრძანება № 241

### საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლებში საყოველთაო განათლების კანონის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ

საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელების მდგომარეობის შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილებების შესასრულებლად რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული.

გაუმჯობესდა სწავლა-აღზრდის საქმე, გაფართოვდა საშუალო სკოლების ქსელი, ტარდება ქმედითი ღონისძიებანი ყოველმხრივ განათლებული, შეგნებული, შრომისმოყვარე მოქალაქეთა აღზრდისათვის.

მნიშვნელოვნად განმტკიცდა სასწავლო მატერიალური ბაზა. მარტო 1967 წელს სასკოლო შენობათა ფართობის ფონდს შეემატა 29.855 მოსწავლე ადგილი.

რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში სკოლაზე ზრუნვა საყოველთაო-სახალხო საქმედ იქცა. აჭარის ასს რესპუბლიკაში, ქ. თბილისში, ჭიათურაში, რუსთავში, ზუგდიდის, თელავის, ცხაკაიას, გურჯაანის, მახარაძის, ჩხოროწყუს, ქობულეთის და სხვა რაიონების საწარმოებმა და კოლმეურნეობებმა მარტო 1967 წელს სასკოლო შენობათა ფონდს შემატეს ათობით კეთილმოწყობილი შენობა, რის შედეგადაც შეიქმნა საიმისო პირობები, რათა სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი ამთავრებდეს არა მარტო რვაწლიან სკოლას, არამედ განაგრძობდეს სწავლას საშუალო ან სპეციალურ საშუალო სასწავლებელში. რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტი იზრდება საგრძნობი რაოდენობით, 1967—1968 სასწავლო წელს საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობს 25.196 მოსწავლით ე. ი. 2,9%-ით მეტი, ვიდრე 1966—1967 სასწავლო წელს.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში მთლიანად შესრულებულია I—VIII კლასების ბავშვთა სწავლებაში ჩაბმის გეგმა, მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებს ეს გეგმა არ აქვთ შესრულებული. გეგმის შესრულებას დააკლდა აფხაზეთის ასსრ-ში 670 ბავშვი, ქ. ფოთში—111, ახალციხის რაიონში—158, ბოლნისის რაიონში—79, გეგეჭკორის რაიონში—75, ყაზბეგის რაიონში—64, ლენტეხის რაიონში—58, მარნეულის რაიონში—307, თეთრიწყაროს რაიონში—56, ხობის რაიონში—94, წალკის რაიონში—157, ონის რაიონში—57, წითელწყაროს რაიონში—72, ჩოხატაურის რაიონში—78 ბავშვი და ა. შ.

დიდია სკოლებიდან განთესილ მოსწავლეთა რაოდენობა, რაც ნათლად დასტურდება 1-ლ კლასში მიღებულ მოსწავლეთა კონტინგენტის რვაწლიანი სკოლის ფარგლებში შენარჩუნების შესახებ არსებული ციფრობრივი მონაცემებით. მაგალითად, 1959 წელს პირველ კლასში ჩაბმული ბავშვებიდან 1967 წელს რვა კლასი დაამთავრა 76,5%-მა, ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აფხაზეთის ასსრ-ში, სადაც 1959 წელს 1 კლასში ჩარიცხული 10.033 ბავშვიდან 1967 წელს 8 კლასი დაამთავრა მხოლოდ 6.807 (67.8%), სამხრეთ ოსეთის ა/ო-ში—2.656 ბავშვიდან—1.732 (65,2%), ქ. თბილისში 11.878 ბავშვიდან—9.493 (79,9%), ქ. ფოთში—1.055 ბავშვიდან—684 (64,8%), ქ. ჭიათურაში—1.563 ბავშვიდან—1.105 (70,7%), ახმეტის რაიონში—957 ბავშვიდან—569 (59.4%). ბოგდანოვკის რაიონში—980 ბავშვიდან—666 (68%), ბოლნისის რაიონში—1.637 ბავშვიდან—960 (58,6%), ბორჯომის რაიონში—747 ბავშვიდან—497 (66,5%), გარდაბნის რაიონში—2.150 ბავშვიდან 1.526 (70,9%), დმანისის რაიონში—1.125 ბავშვიდან—757 (67,3%), დუშეთის რაიონში—940 ბავშვიდან 663 (70.5%), ყაზბეგის რაიონში—210 ბავშვიდან—93 (44,3%), ქარელის რაიონში—1.096 ბავშვიდან—851 (77,6%), ყვარლის რაიონში—842 ბავშვიდან—646 (76,7%), ლაგოდეხის რაიონში—1.267 ბავშვიდან—900 (71%), ლანჩხუთის რაიონში—923 ბავშვიდან—816 (77,6%), ლენტეხის რაიონში—461 ბავშვიდან—276 (59,8%), მარნეულის რაიონში—2.361 ბავშვიდან—1.319 (55,8), მახარაძის რაიონში—1.600 ბავშვიდან—1.154 (72,1%), მესტიის რაიონში — 510 ბავშვიდან — 310 (60,8%), ონის რაიონში 529 ბავშვიდან—360 (68,5%), ორჯონიკიძის რაიონში—893 ბავშვიდან—669 (74,9%), საგარეჯოს რაიონში—1.073 ბავშ-

ვიდან—655 (61,0%), თეთრიწყაროს რაიონში—1.129 ბავშვიდან —645 (57,1%), თიანეთის რაიონში—443 ბავშვიდან—300 (67,7%), ცაგერის რაიონში—627 ბავშვიდან—450 (71,8%), წალენჯიხის რაიონში—902 ბავშვიდან—595 (69,9%), წალკის რაიონში—1,564 ბავშვიდან 981 (62,7%), წითელწყაროს რაიონში—707 ბავშვიდან —490 (69,39%).

განათლების ადგილობრივი ორგანოები, სკოლის ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები ქმედით ზომებს არ ღებულობენ მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს ჩამოშორებულია 23.931 მოსწავლე: მათ შორის I—VIII კლასებიდან გავიდა 17.365 ბავშვი (2,3%), დიდი რაოდენობით გავიდნენ მოსწავლეები გასულ სასწავლო წელს აფხაზეთის ასსრ-ში—3.204 (3,4%), აჭარის ასსრ-ში—1.600 (2,8%), ქ. თბილისში—4.261 (3,3%), ფოთში—298 (3,9%), ახალქალაქის რაიონში—565 (3%), ახალციხის რაიონში—350 (2,9%), ბორჯომის რაიონში—312 (4,7%), გარდაბნის რაიონში—726 (3,5%), ყაზბეგის რაიონში—80 (6,8%), ქარელის რაიონში—320 (3,1%), მარნეულის რაიონში—625 (3%), მესტიის რაიონში—158 (4,2%), ონის რაიონში—165 (4,1%), თელავის რაიონში—331 (2,8%), თეთრიწყაროს რაიონში 279 (3,4%), ხობის რაიონში—296 (3,7%), წალენჯიხის რაიონში—257 (3,3%), წალკის რაიონში—306 (2,7%), წითელწყაროს რაიონში—221 (3,2%), ჩოხატაურის რაიონში—260 (4,2%) და ა. შ.

განსაკუთრებით დიდია ავადმყოფობის მიზეზით გასულ მოსწავლეთა რაოდენობა. აღნიშნული მიზეზით რესპუბლიკის სკოლებიდან გასულია 1966/67 სასწავლო წელს 5 ათასამდე მოსწავლე. მათ შორის მარნეულის რაიონში—146, გარდაბნის რაიონში—120, წალკის რაიონში—63, საჩხერის რაიონში 47, მაიაკოვსკის რაიონში—34 ბავშვი და ა. შ. თუმცა მასობრივი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან განთესილი მოსწავლეების გარკვეული ნაწილი სწავლას აგრძელებს საღამოს (ცვლის) სკოლებში და პროფტექნიკურ სასწავლებლებში, მაგრამ მათი რიცხვი იმდენად მცირეა, რომ განთესვის ანაზღაურებას ოდნავადაც ვერ ახდენს. ასე, 1966/67 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების I—VIII კლასებიდან გასული 17.365 ბავშვიდან საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გადავიდა 2.049, პროფტექნიკურ სასწავლებლებში 2.028. აღსანიშნავია, რომ პროფტექნიკურ სასწა-

ვლებლებში გადასულ ბავშვთა დიდი უმრავლესობა სწავლას არ აგრძელებს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში.

რვაწლიანი საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განხორციელებას მნიშვნელოვნად აბრკოლებს ის გარემოებაც, რომ დღემდე სავსებით არასაკმარისადაა გაშლილი სპეციალური სკოლების ქსელი ყრუ-მუნჯი, უსინათლო, გონებრივი და სხვა დეფექტის მქონე ბავშვთათვის.

საყოველთაო განათლების კანონის განხორციელებაზე უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობა და მეორეწლიანობა, რაც ძირითადად განათლების ორგანოების, სკოლების ხელმძღვანელებისა და პედაგოგიური კოლექტივების სუსტი მუშაობითაა გამოწვეული. 1966/67 სასწავლო წლის ბოლოს იმავე კლასებში დატოვებული 44.070 მოსწავლიდან 1967/68 სასწავლო წლის დასაწყისისათვის კურსის განმეორებით გასავლელად არ გამოცხადდა 5.474 მოსწავლე, მათგან აფხაზეთის ასსრ-ში—909, აჭარის ასსრ—468, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—115, ქ. თბილისში—911, ქ. ქუთაისში — 151, ქ. ჭიათურაში — 158, ქ. რუსთავში—262, ახალქალაქის რაიონში—131, ბოლნისის რაიონში—88, გარდაბნის რაიონში—158, გურჯაანის რაიონში—96, დმანისის რაიონში—70, მარნეულის რაიონში—155, მახარაძის რაიონში—138, ონის რაიონში—74, წალკის რაიონში—116, წითელწყაროს რაიონში—39 და ა. შ.

სასწავლო წლის პირველ ნახევარში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა დატოვა 4.306 მეორეწლიანმა მოსწავლემ. მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში—2 117, აჭარის ასსრ-ში—548, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—239, ქ. თბილისში—552, ქ. ჭიათურაში—112, ბოლნისის რაიონში 201, ახალქალაქის რაიონში—191, ახალციხის რაიონში—133, გეგეჭკორის რაიონში—230, დმანისის რაიონში—127, ხაშურის რაიონში—104, ყვარლის რაიონში—85, სამტრედიის რაიონში—117, ლაგოდეხის რაიონში—77, წითელწყაროს რაიონში—146 და ა. შ.

ძალზე სუსტად არის დაყენებული მეორეწლიან მოსწავლეთა შორის მუშაობა. სასწავლო წლის პირველი ნახევრის ბოლოს ვერ ასწრებს 9.709 მეორეწლიანი მოსწავლე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში—1.707, აჭარის ასსრ-ში—769, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—335, ქ. თბილისში 1.044, ქ. ჭიათურაში—293, ახალქალაქის რაიონში—246, ახალციხის რაიონში—146, ბოგდა-

ნოვკის რაიონში—84, გარდაბნის რაიონში—320, გორის რაიონში —112, დმანისის რაიონში—124, ლაგოდეხის რაიონში—116, ლანჩხუთის რაიონში—142, საგარეჯოს რაიონში—196, წალკის რაიონში—332, წითელწყაროს რაიონში—107 და ა. შ.

საყოველთაო განათლების კანონის განხორციელებას მთიან რაიონებში ხელს უშლის აგრეთვე რვაწლიანი და საშუალო სკოლების მომსახურების დიდი რადიუსები. ბავშვთა გარკვეული ნაწილი ვეღარ ახერხებს სწავლის გაგრძელებას სკოლის სიშორის გამო. მაგალითად, ვერ აგრძელებს სწავლას მე-5 კლასში წალკის რაიონის ჩოლიანის დაწყებითი სკოლადამთავრებული 9 ბავშვი, დმანისის რაიონში—24 ბავშვი, დუშეთის რაიონში—11, ყაზბეგის რაიონში—12 ბავშვი და ა. შ.

რვაკლასდამთავრებულთა გარკვეული ნაწილი ვერ აგრძელებს სწავლას საშუალო სკოლების IX კლასებში. მაგალითად, 1966/67 სასწავლო წლის რვაკლასდამთავრებულთაგან IX კლასებში სწავლობენ დმანისის რაიონში—55,6%, დუშეთის რაიონში — 62,1%, ყაზბეგის რაიონში—64,5%, კასპის რაიონში—64,2%, სამტრედიის რაიონში—68,5%, თეთრიწყაროს რაიონში—68,9% და ა. შ.

დასახელებულ და ზოგიერთ სხვა რაიონში უხეშად ირღვევა საყოველთაო-სავალდებულო განათლების ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვისა და მოძრაობის—ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლის—წესები. საკმაო სიების ზუსტად შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ მარტო მარნეულის რაიონში არ სწავლობს სასკოლო ასაკის 907 ბავშვი, მათ შორის ქ. მარნეულში—307, ალგეთის სასოფლო საბჭოში—127, შულავერის—100, ყიზილაჯლოს —76, კაპანახჩის—52, ქურდლარის—50, სადახლოს—44, ოფრეთის —29, ყაჩაღანის—24, შაუმიანის—17, ახქერფის—10, თამარისის— 14, ხოჯორნის—8, ორჯონიკიძის—11 ბავშვი.

თეთრიწყაროს რაიონის შემოწმებული 9 სკოლიდან განთესილია 49 სასკოლო ასაკის ბავშვი, მათ შორის წინწყაროს რუსული საშუალო სკოლიდან (დირექტორი დ. ანოზოვი)—13, სამშვილდეს 8-წლიანი სკოლიდან (დირექტორი ა. ოგანესიანი)—12, თეთრიწყაროს რუსული საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. სევასტოვი) —10 მოსწავლე. ბოგდანოვკის რაიონის სკოლებიდან განთესილია 39 სასკოლო ასაკის ბავშვი.

ბოლნისის რაიონში განთესილია I—VIII კლასების 52 მოსწავლე, მათ შორის ფახრალოს საშუალო სკოლიდან (ყოფილი დირექტორი ზ. გუსეინოვი)—42 მოსწავლე, მუშევანის 9-წლიანი სკოლიდან (ყოფილი დირექტორი თ. აბაროვი)—12, ქვემობოლნისის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. იაკუბოვი)—16, მათ შორის 14 მოსწავლე ირიცხება სკოლაში და პირველი სექტემბრიდან არ გამოცხადებულა გაკვეთილებზე. სოფელ ბოლნისის სომხური საშუალო სკოლიდან (დირექტორი პ. მანუჩარიანი)—9 ბავშვი და ა. შ.

ახალქალაქის რაიონის გუმბურდოს 8-წლიანი სკოლიდან (დირექტორი ა. ჰაირაპეტიანი) განთესილია 11 ბავშვი, კარტიკამის 8-წლიანი სკოლიდან (დირექტორი ს. ღინოიანი)—7, ვარიანის საშუალო სკოლიდან (დირექტორი თ. ქოთანჯიანი)—7, ორჯის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ვ. აკოჯიანი)—8, ბავრის 8-წლიანი სკოლიდან (დირექტორი ზ. ნანოიანი)—6 ბავშვი და ა. შ.

გარდაბნის რაიონის სკოლებიდან განთესილია 52 სასკოლო ასაკის ბავშვი. ზოგიერთი სკოლის დირექტორის მიერ ადგილი აქვს მოსწავლეთა არასწორად აღრიცხვის ფაქტებს. ასე მაგალითად, აქთაფლიის სკოლის დირექტორმა ა. გეზალოვმა 1967 წლის 5 სექტემბრისათვის უჩვენა 883 მოსწავლე, სინამდვილეში სკოლაში იყო 871 მოსწავლე. 10 პირველი კლასელიდან, რომელიც სკოლამ თავის მოსწავლეებად უჩვენა, 8 მოსწავლე ირიცხებოდა ამავე რაიონის გაჩიანის და ყარათაკლიის დაწყებით სკოლებში, ორი მოსწავლე კი კოჯრის სკოლა-ინტერნატში.

წალენჯიხის რაიონის სკოლის დირექტორებმა 1967 წლის 5 სექტემბრისათვის 191 მოსწავლით მეტი უჩვენეს. ახალციხის რაიონის სოფელ წირისში პირველ კლასში მისაღებად უჩვენეს 20 ბავშვი, ფაქტიურად იყო—11. თეთრიწყაროს რაიონის მანგლისის საშუალო სკოლამ (დირექტორი ბ. სულაბერიძე) IX კლასში, ნაცვლად 84 მოსწავლისა, უჩვენეს 96. მოსწავლეთა მიწერას ადგილი ჰქონდა წინწყაროს რუსულ საშუალო სკოლაშიც (დირექტორი დ. ანეზოვა), მე-10 კლასში, ნაცვლად 21 მოსწავლისა, ნაჩვენები იყო 27 მოსწავლე.

საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განხორციელებას არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ რაიონებისა და საქალაქო საბჭოების აღმასკომების განათლების განყოფილე-

ბანი, რის შედეგადაც ამ საქმის გარშემო არაა დარაზმული სა-
სოფლო საბჭოები, პროფესიული ორგანიზაციები, კომკავშირული
აქტივი და მშრომელთა ფართო საზოგადოებრიობა. სათანადო
ნივთიერი დახმარება არ ეწევა ხელმოკლე ოჯახების ბავშვებს, ამ
მიზნისათვის არ იყენებენ ადგილობრივ საშუალებებს.

რიგი რაიონული და საქალაქო განათლების განყოფილებათა
ხელმძღვანელობა და კონტროლი საყოველთაო განათლების კანო-
ნის განხორციელებაზე ფორმალურ ხასიათს ატარებს და საქმეს
ვერ შველის, საყოველთაო განათლების ასაკის ათასობით ბავშვი
და მოზარდი სკოლის გარეთ რჩება და კანონით გათვალისწინე-
ბულ განათლებას ვერ ღებულობს.

საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განხორ-
ციელების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა,
სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების
განყოფილებათა გამგეებმა:

ა) უზრუნველყონ საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი
განათლების კანონის განუხრელად გატარება; მიიღონ ქმედითი
ზომები, რათა სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი და მოზარდი ჩა-
ბმული იყოს სწავლებაში და მოსწავლეთა კონტინგენტი შენარჩუ-
ნებულ იქნეს სწავლის დამთავრებამდე;

ბ) სრული წესრიგი დაამყარონ სასკოლო ასაკის ბავშვთა
აღრიცხვის საქმეში, რისთვისაც მტკიცედ იხელმძღვანელონ
ზემდგომი ორგანოების მიერ დადგენილებით დამტკიცებული
ინსტრუქციით;

გ) რეგულარულად შეამოწმონ საყოველთაო-სავალდებულო
რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების მიმდინარეობა
და შედეგები განიხილონ კოლეგიებისა და განათლების საბჭოების
სხდომებზე, მიიღონ ზომები არსებულ ნაკლოვანებათა აღმო-
საფხვრელად;

დ) საკლასო ჟურნალებისა და ბავშვთა მოსახლეობის აღწე-
რის მასალების შეჯერების საფუძველზე 1968 წლის 20 ივნისამდე
დაადგინონ სკოლებში ჩაუბმელი და სკოლებიდან გამთესილი მო-
სწავლეების რიცხვი ცალკე კლასების მიხედვით; დამოუკიდებელი
დაწყებითი სკოლების მიმართ დასახელებული სამუშაოს შესრუ-

ლებაზე პასუხისმგებლობა დააკისრონ იმ რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებს, რომელთა სამოქმედო უბანში შედიან ეს დაწყებითი სკოლები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) 1968 წლის 30 მარტამდე შეადგინონ დასაბუთებული მოხსენება იმ ბავშვებისა და მოზარდების შესახებ, რომლებიც ხანგრძლივი ავადმყოფობის, გონებრივი და ფიზიკური დეფექტის გამო (ყრუ-მუნჯები, უსინათლოები და სხვა) შეუძლებელია გაერთიანებული იქნენ მასობრივ სკოლაში. ეს მოხსენება, ამ კატეგორიის თითოეული ბავშვის პერსონალური დახასიათებით, წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს;

ვ) ყველა ზომა მიიღონ, რათა რვაკლასდამთავრებულები უკლებლივ აგრძელებდნენ სწავლას საშუალო სკოლების IX კლასებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში;

ზ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საღამოს (ცვლის) სკოლების გარეთ დარჩენილი სათანადო ასაკის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზუსტად აღრიცხვას; დაამყარონ მჭიდრო კავშირი წარმოებების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების ხელმძღვანელებთან და მათთან ერთად მიიღონ გადამჭრელი ზომები იმ მიზნით, რათა ახალგაზრდობა სავალდებულო წესით ღებულობდეს დასრულებულ რვაწლიან განათლებას;

თ) გაშალონ მოსახლეობაში ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების შესახებ და ამ მუშაობაში ჩააბან საბჭოები, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი, მიიღონ ზომები იმ მშობლებისა და მათი შემცვლელი პირების მიმართ, რომლებიც ჯიუტად არიდებენ თავს ბავშვების ჩაბმას სკოლებში და თითოეული მათგანის საკითხი წარუდგინონ განსახილველად მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომებს;

ი) გულდასმით შეამოწმონ საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ სკოლების მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მასალები და სათანადო სასჯელი დაადონ სკოლების დირექტორებს, რომლებსაც არაზუსტი ცნობების წარმოდგენით შეცდომაში შეჰყავთ ხელმძღვანელი ორგანოები;

კ) გააძლიერონ მუშაობა მასწავლებელთა იდეური დონისა და პედაგოგიური დახელოვნების სისტემატური ამაღლებისათვის;

ფართოდ დანერგონ იმ მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილება, რომლებმაც მიაღწიეს კარგ შედეგებს მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ამაღლებისა და მეორეწლიანობის აღმოფხვრის საქმეში;

ლ) გაზარდონ გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების რაოდენობა და მათში ფართოდ ჩააბან შრომაში დასაქმებული მშობლების შვილები, ამასთან იზრუნონ სასკოლო ბუფეტების და სასადილოების მოწყობისათვის საჭირო სადგომების გამოსაყოფად; უზრუნველყონ მოსწავლეები სახელმძღვანელოებით, სასწავლო ნივთებით, მოამარაგონ სკოლები სასწავლო ხელსაწყო-იარაღებით, დიდაქტიკური მასალით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით;

მ) განიხილონ და სათანადო სასჯელი დაადონ ბრძანებაში აღნიშნული სკოლის იმ დირექტორებს, რომლებიც არასწორ ცნობებს ადგენენ და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეს.

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) შეუნელებელი ყურადღება მიაქციონ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებას, მტკიცე კონტროლი დაამყარონ და დახმარება აღმოუჩინონ მასწავლებლებს მათს მუშაობაში; ყურადღების ცენტრში დააყენონ მეორეწლიანობის საკითხი, არსებითად გააუმჯობესონ დაბალი წარმატების მოსწავლეებთან მუშაობა, მშობლებთან ერთად დასახონ და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მოსწავლეთა გაცდენებისა და მეორეწლიანობის აღმოსაფხვრელად;

ბ) გადამჭრელი ზომები მიიღონ და მტკიცე ზედამხედველობა დააწესონ ცალკეული კლასების მიხედვით სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვასა და სწავლებაში მათ ჩასაბმელად; სრული წესრიგი დაამყარონ მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის მოსაწესრიგებლად, არ დაუშვან მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შეუსრულებლობა;

გ) აღნიშნული ბრძანება განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, დასახონ და განახორციელონ ოპერატიული ზომები აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

3. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ვ. ჩინჩალაძე) საყოველთაო-სავალდებულო განათლების ასაკის სხვადასხვა კატეგორიის დეფექტების მქონე ბავშვთა და

მოზარდთა სწავლებაში გაერთიანების უზრუნველსაყოფად, ა/წლის 30 მარტისათვის წარმოადგინოს წინადადებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად.

4. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე) 1969 წლის ბიუჯეტით გაითვალისწინოს რვაწლიან და საშუალო სკოლებთან არსებული სასკოლო ინტერნატების ქსელის ზრდა იმგვარად, რომ იმ მთიანი სოფლების ბავშვთა მოსახლეობა, სადაც რვაწლიანი სკოლები არ არსებობს, უზრუნველყოფილ იქნეს ასეთი ინტერნატებით.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები სასკოლო ინტერნატების კეთილმოწყობისათვის და ამ საქმეში აქტიურად ჩააბან ადგილობრივი სასოფლო საბჭოები და კოლმეურნეობები. მათვე ა/წლის 15 სექტემბრისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ანგარიში ამ ბრძანების შესრულების შესახებ.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საგეგმო-საფინანსო სამმართველოებმა დააწესონ სისტემატური კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე და საჭიროების მიხედვით მოამზადონ საკითხი კოლეგიაზე განსახილველად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1968 წლის 7 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ. 29 იანვრის ბრძანება № 48

### რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი სკოლამდელ მუშაკთა რესპუბლიკური კონფერენციის შედეგების მიხედვით

ოქტომბრის რევოლუციის ნახევარსაუკუნოვან ისტორიულ თარიღს მიეძღვნა ქ. თბილისში 30—31 ოქტომბერსა და 1 ნოემბერს განათლების სამინისტროს მიერ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ჩატარებული რესპუბლიკის სკოლამდელ მუშაკთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა და აღმზრდელთა ნამუშევრების გამოფენა.

სკოლამდელმა განათლებამ, როგორც საბჭოთა სახალხო განათლების სისტემის მნიშვნელოვანმა რგოლმა, ჩვენს რესპუბლიკაში დიდი გზა განვლო, საკმაო გამოცდილება დააგროვა და გარკვეული როლი შეასრულა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სწავლა-აღზრდის განვითარებისა, დედის, ქალის შრომის შემსუბუქებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი აქტიური მონაწილეობისათვის. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ, თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლის ბოლოსათვის საქართველოში 30 საბავშვო ბაღი იყო 878 ბავშვით, ამჟამად რესპუბლიკაში 1.200-ზე მეტი საბავშვო ბაღი და ბაგა-ბაღია 100-ათასამდე ბავშვით.

განსაკუთრებით იზრდება სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი უკანასკნელ წლებში და მტკიცდება მათი ნივთიერი ბაზა. საკმარისია ითქვას, რომ თუ 1959 წლამდე რესპუბლიკაში განათლების სამინისტროს ხაზით სახელმწიფო ბიუჯეტით ყოველწლიურად თითო-ორი სკოლამდელი დაწესებულება შენდებოდა, 1965 წელს მარტო ამ ხაზით აშენდა 36 დაწესებულება—4.500 ბავშვისათვის, ხოლო 1966 წელს კი 55 დაწესებულება—5.300-ზე მეტი ბავშვისათვის. სკოლამდელი დაწესებულებები შენდება არა მარტო

მსხვილ სამრეწველო ქალაქებში, არამედ ისეთ სოფლებშიც, სადაც რევოლუციამდე დაწყებითი სკოლაც კი არ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ წინსვლას აქვს ადგილი სკოლამდელი დაწესებულებების კადრების როგორც რაოდენობრივი ზრდის, ასევე აღმზრდელთა განათლების ცენზისა და პედაგოგიური დახელოვნების დონის ამაღლების მხრივაც. თანდათან იზრდება რიგები თავის საქმის კარგად მცოდნე და უნარიანად მომუშავე სკოლამდელი მუშაკებისა. ამ საქმის დადებითად გადაჭრის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა ზემდგომი ორგანოების სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და ამ დადგენილების საფუძველზე განათლების სამინისტროს მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა. ამჟამად სკოლამდელთა აღზრდის საქმეს რესპუბლიკაში ემსახურება 7.473 მუშაკი, ნაცვლად 3.498 მუშაკისა 1960 წელს.

სკოლამდელი აღზრდის მზარდი როლის შესახებ მკაფიო მითითებებია მოცემული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში, რომლის საფუძველზე მიმდინარე ხუთლწედში მნიშვნელოვნად დიდდება ამ დაწესებულებების ქსელი და აღსაზრდელთა რაოდენობა მათში. ყველა ამ ფაქტორმა ერთად აღებულმა სათანადო წინამძღვრები მოამზადა სკოლამდელი აღზრდის საკითხებზე დასახელებული კონფერენციის ჩატარებისათვის.

კონფერენცია ორგანიზებულად ჩატარდა, წაკითხულ იქნა 26 მოხსენება, მოხსენებების უმრავლესობა საფუძვლიანად იყო დამუშავებული; ნაწილი მოხსენებებისა, პრაქტიკულ მუშაკთა გამოცდილების განზოგადებას შეეხებოდა. მოხსენებებში საჭირო სისრულით აისახა სკოლამდელი განათლების ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა: „რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის თანამედროვე პრაქტიკა და მომავალი ამოცანები“ (გ. აბდუშელიშვილი), „სკოლამდელი აღზრდის ძირითადი ეტაპები“ (მ. ლეჟავა), „მშობლიური ენა საბავშვო ბაღში“ (ნ. კარჭაული), „საბავშვო ბაღისა და სკოლის ურთიერთობის საკითხებისათვის“ (შ. აფხაიძე, ქ. ქუთაისი), „ბავშვების ინიციატივისა და აქტივობის აღზრდა თამაშის დროს“ (ქ. საანიშვილი, ახალციხე), „სახვითი საქმიანობის ზოგიერთი საკითხი საბავშვო ბაღში“ (თ. გელაშვილი), „ფიზიკური აღზრდა საბავშვო ბაღში“ (ლ. ჩარკვიანი), „როგორ ვმუშაობ ბგე-

რების სწორ წარმოთქმაზე ოთხწლიან ბავშვებთან" (ნ. მახარობლიძე, ქ. გორი), „როგორ ვმუშაობ მშობლებთან" (ლ. ყანჩაველი, ზესტაფონი), „ესთეტიკური აღზრდის ძირითადი გზები საბავშვო ბაღში" (ლ. გრიგოლია), „ზნეობრივი აღზრდის ზოგიერთი საკითხი საბავშვო ბაღში" (დ. ტანბია, სოხუმი), „როგორ ვიყენებ თამაშს ბავშვებში კულტურული ჩვევების დასანერგავად" (თ. დავითაია, სოხუმი), „ადრეული ასაკის ბავშვის აღზრდის ამოცანები და შინაარსი" (ლ. მგალობლიშვილი) და სხვ.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს არა მარტო სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისა და მათი ნივთიერი ბაზის განმტკიცებისათვის, არამედ ამ დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ამაღლებისათვის, ყოველწლიურად უმჯობესდება ბაღებისა და ბაგა-ბაღების მუშაობა, უფრო შინაარსიანი, მიმზიდველი და ნაყოფიერი ხდება აღმზრდელ-მასწავლებელთა საქმიანობა. ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კადრების შემადგენლობის, მეთოდური მუშაობის, პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურის გამოცემის საქმის გაუმჯობესებამ, უკანასკნელ წლებში სკოლამდელი მუშაკთათვის გამოიცა თ. ერისთავისა და ე. ბერძენიშვილის „იზარდე მწვანე ჯეჯილო", ბ. ჭავჭანიძის „ბუნების წიაღში", ვ. კახაძის „აისი", ნ. უნაფქოშვილის „კურდღელი პირს იბანს", ნ. კარჭაულის „მეტყველების განვითარებისა და მშობლიური ენის სწავლების მეთოდიკა საბავშვო ბაღში" და სხვა). მეთოდური მუშაობის დონის ამაღლება განაპირობა აგრეთვე საბავშვო ბაღების მუშაობაზე სისტემატურმა ოპერატიულმა კონტროლმა და დახმარებამ.

რესპუბლიკაში ცოტა როდია საბავშვო ბაღები და ბაგა-ბაღები, რომლებიც აღმზრდელობით მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის დაჯილდოებული არიან განათლების სამინისტროს და განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მიერ (თბილისი, სოხუმი, ბათუმი, რუსთავი, ქუთაისი, თელავი, ზესტაფონი, მახარაძე, მარნეული); ბევრი საბავშვო ბაღი დაჯილდოებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მედლებით, დიპლომებით და ფულადი პრემიებით (თბილისი, ბათუმი, სოხუმი).

წლიდან წლამდე უმჯობესდება და სრულყოფილი ხდება მუშაობის ფორმები და მეთოდები. დიდი მუშაობა წარმოებს ბავშვთა

გონებრივი და ფიზიკური განვითარებისათვის, მათ მოსამზადებლად სკოლისათვის. აღმზრდელთა უმრავლესობა კარგადაა დაუფლებული ბავშვთა სწავლა-აღზრდის მეთოდებს; საბავშვო ბაღების მოწინავე მუშაკები უნარიანად უხამებენ ერთმანეთს აღზრდასა და სწავლას და ერთი მთლიანი პროცესის სახით წარმართავენ მას. სკოლისათვის ბავშვთა მომზადების მიზნით აღმზრდელ-მასწავლებლები დიდი ყურადღებით ეკიდებიან ბავშვთა მეტყველების განვითარებასა და თვლა-ანგარიშის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, მათში შრომისადმი სიყვარულის დანერგვას (ბუაძე, ლეჟავა, საყვარელიძე, ალადაშვილი, კუტუბიძე, ხომასურიძე, ქამუშაძე, ნერსესოვა, ამილახვარი, ქაჯაია, შენგელია, გონგაძე, კურკაეღოვა — თბილისი; დავითაშვილი, ბარსკაია, პირტახია, პოპონდოპულო — სოხუმი; ბეგიაშვილი, ზაზულია, აფხაზავა, კუპრაძე, ალიფერენკო — ბათუმი; პეტრიაშვილი, ბუცხრიკიძე, ამრუზოვა — თელავი; ნოდია, ხელაძე, კეპულაძე, ქელბაქიანი — ქუთაისი; იობაშვილი — ბორჯომი; მეცხვარიშვილი — ჭიათურა; კაციაშვილი — ახალციხე; ყაზარაშვილი — კასპი; ჯაბიაშვილი — ქარელი და მრავალი სხვანი).

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სკოლამდელ დაწესებულებათა მეთოდური მუშაობა. ამას უპირველეს ყოვლისა, იმანაც შეუწყო ხელი, რომ ჩამოყალიბდა სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი, რომლის მუშაკები სისტემატურად აწყობენ სემინარებს, როგორც დედაქალაქის, ისე რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქის სკოლამდელ მუშაკთათვის, ატარებენ ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონსულტაციებს, კითხულობენ ლექცია-მოხსენებებს. ამავე მიმართულებით ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან აგრეთვე რაიონული მეთოდური გაერთიანებები; ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონის (ხელმძღვანელი ქ. კაკუშაძე), 26 კომისრის — (ხელმძღვანელი ლ. თანდელიანი), პირველი მაისის — (თ. ჭაბუკიანი), ქ. გორის — (კ. თავზარაშვილი), ქ. ქუთაისის — (დ. ჯაფარიძე), თელავის — (ქ. გამხეტელაშვილი) სკოლამდელ მუშაკთა მეთოდგაერთიანებანი.

საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების მუშაობის გაუმჯობესების საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითსა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებს. საუკეთესო საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების ბაზაზე 1967

წელს ჩამოყალიბდება ორი საცდელი რესპუბლიკური ბაგა-ბაღი, რომლებიც უკვე ამუშავებენ პრაქტიკულად და თეორიულად (სკოლამდელი აღზრდის აქტუალურ საკითხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის საბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღებში ამ უკანასკნელ წლებში ბევრი რამ კეთდება ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესების მიზნით, პრაქტიკაში დაინერგა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნამუშევრების გამოფენის მოწყობა, როგორც რესპუბლიკაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც (ქ. მოსკოვი, ბაქო). საქართველოს ხელოვნების მუზეუმში მოწყობილი ბავშვთა ნამუშევრები დიდი ინტერესით დაათვალიერა 22 ათასმა კაცმა. მათ შორის საუკეთესო ექსპონატები ქ. მოსკოვში გაიგზავნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, რის შედეგადაც ბრინჯაოს მედლები და ფულადი ჯილდოები დაიმსახურეს ქ. თბილისის 69-ე, მე-6, 56-ე, სოხუმის მე-8 და ოჩამჩირის მე-3 საბავშვო ბაღების აღმზრდელებმა (ო. ხუსკივაძე, ვ. თაქთაქიშვილი, ო. თევზაძე, ა. დრობჩუკი, ნ. შელია). კონფერენციაზე წარმოდგენილ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნამუშევრებში ნათლად ჩანს, თუ როგორ აღიქვამენ და გამოსახავენ ბავშვები გარესამყაროს, თავიანთ სიხარულსა და ინტერესებს. გამოფენა ყურადღებას იქცევდა თემატიკური მრავალფეროვნებით და ბავშვური უშუალობით: „ადამიანი შრომაში“, „თანამედროვე ტექნიკა“ (კოსმონავტები), „შემოდგომა“, „ზღაპრების პერსონაჟები“ და სხვა. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ბუნებრივი მასალებიდან ტექნიკურად სწორად, ლამაზად და საინტერესოდ ნაკეთებმა ნამუშევრებმა თბილისიდან, ქუთაისიდან, სიღნაღიდან, სოხუმიდან, ბათუმიდან და რუსთავიდან, თვითნაკეთმა თვალსაჩინო მასალამ „თვლა-ანგარიშში“, რომელმაც კონფერენციის მონაწილეთა დიდი მოწონება დაიმსახურა. მრავალფეროვანი და საინტერესო იყო საბავშვო მუსიკალური რეპერტუარი, რაც კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს.

რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა უმრავლესობაში დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მშობლებთან მუშაობის საქმე. საბავშვო ბაღებთან შექმნილია მშობელთა კომიტეტები, მოწყობილია მშობელთა კუთხეები, მშობელთა უმრავლესობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საბავშვო ბაღის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მისი ეზოების კეთილმოწყობის, დგამ-ავეჯის შეკეთებისა და გამაჯანსაღებელი მუშაობის ნორმალურად ჩატარე-

ბის საქმეში (ქ. ქ. თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, თელავი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუსუსტებელი ყურადღება ექცევა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა გაჯანსაღებისა და დასვენების ორგანიზაციის საქმეს. უმრავლეს სკოლამდელ დაწესებულებებში საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, რასაც დიდად შეუწყო ხელი განათლების სამინისტროს მიერ უკანასკნელ წლებში მიღებულმა მეთოდურმა მითითებებმა „სკოლამდელ დაწესებულებათა საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის ჩატარების შესახებ“. გამაჯანსაღებელი ღონისძიების ჩატარების პერიოდში მრავალი სკოლამდელი დაწესებულება გარემო-პირობებს, ბუნებრივ მასალასა და მის მრავალფეროვნებას იყენებს ბავშვთა გაჯანსაღებისა და მათთან სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ადგილობრივი განათლების ორგანოების დახმარება სკოლამდელი დაწესებულებებისადმი: სისტემატურად მოწმდება სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობა და ტარდება ქმედითი ღონისძიებები, როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, ასევე ნივთიერი ბაზის განმტკიცებისა და ეზოების კეთილმოწყობის მიზნით (ქ. თბილისი, ორჯონიკიძის რაიონი, 26 კომისრის რაიონი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, კასპი და სხვ.).

მიუხედავად ამ მიღწევებისა, სკოლამდელი აღზრდის საქმე რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ არის იმ დონეზე, რომ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს ისეთ დიდ ქალაქებშიც კი როგორიცაა თბილისი, ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი, რუსთავი, ცხინვალი, ფოთი და სხვ. სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი კვლავ მცირეა, ამავე დროს არსებულ შენობათა უმრავლესობა გადაუდებელ რეკონსტრუქციას საჭიროებს. სკოლამდელ დაწესებულებების მუშაობას დიდად აფერხებს საჭირო ხარისხის დგამ-ავეჯის და სასწავლო ნივთების სიმცირე (ქაღალდი, ფერადი ფანქრები, ფუნჯები, საღებავები, პლასტილინი და სხვ.).

სკოლამდელი მუშაკები დღემდე საკმაო რაოდენობით ვერ ღებულობენ სათანადო ლიტერატურას; კვლავ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მოწინავე მუშაკთა გამოცდილების განზოგადება.

ზოგიერთ საბავშვო ბაღში სუსტია შრომის დისციპლინა, ზოგჯერ ირღვევა დღის წესრიგი, აღმზრდელთა ერთი ნაწილი არაა დაუფლებული ბავშვებთან ინდივიდუალურად მუშაობის საქმეს, ზოგიერთი აღმზრდელი სუსტად მუშაობს თავის თავზე, წინასწარ სათანადოდ არ ემზადება მეცადინეობისათვის, მუშაობაში არ იყენებს თვალსაჩინოებას, რის შედეგადაც მათ მიერ ჩატარებული მეცადინეობები უშინაარსო, უფერული და ბავშვებისათვის უინტერესოა (არაქელიანი, ყაველაშვილი—ბოლნისი, ნათაძე, ლილუაშვილი, სხულუხია, უთნელიძე—მცხეთა, მანგოშვილი—ლაგოდეხი, აჯიაშვილი—ყვარელი და სხვ.).

სკოლამდელ დაწესებულებებს საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის ნორმალურად ჩატარების საქმეში დიდი დაბრკოლებები ელობებათ. კერძო პირებისაგან ბინის დაქირავების მინიმალური ფასების დაწესების გამო ვერ ხერხდება შესაფერისი სათავსოების დაქირავება. რის გამოც სკოლამდელ დაწესებულებათა ერთი ნაწილი თავს არიდებს აგარაკზე გასვლას ან ბავშვებს ათავსებს მეტად შეუფერებელ ბინებში. არის შემთხვევები, როდესაც სასკოლო და სკოლა-ინტერნატის შენობები სხვა ღონისძიებებისათვის არის გამოყენებული, ზოგიერთი განათლების განყოფილება არ ღებულობს ქმედით ზომებს, რომ ეს შენობები ზაფხულის პერიოდში, პირველ რიგში, საბავშვო ბაღებს გადაეცეს.

| 13 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების . . . . . . | 1 | 30 | 15 დღე | „ | 60 | 12 | „ |
| 14 | გეოგრაფიის მასწავლებელთა (რუსული ჯგ.) | 1 | 30 | „ | „ | 57 | 18 | ცხინვალი |
| | ნოემბერი | | | | | | | |
| 1 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების მოადგილეების სასწავლო მუშაობის დარგში . . . . . | 4 | 120 | „ | „ | 60 | 12 | თბილისი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | საბავშვო ბაგა-ბაღების მედდების . . . | 1 | 30 | 7 დღე | მოწყ. | 30 | 6 | თბილისი |
| 3 | მათემატიკის მასწავლებელთა (რუსული ჯგ.) . | 1 | 30 | 2 თვე | მოუწყ. | 130 | 20 | „ |
| 4 | ტაქსიდერმიის საკითხებში მასწავლებელთა დახელოვნების . . . . . . | 1 | 30 | 7 დღე | „ | 18 | 18 | კასპი |
| 5 | V—VIII კლასების ტექნიკური შრომის მასწავლებელთა . . . . . . | 1 | 30 | 1 თვე | მოწყ. | 70 | 108 | სოხუმი |
| 6 | საბავშვო ბაგა-ბაღების გამგეების . . . | 1 | 30 | „ | „ | 100 | 50 | ქუთაისი |
| 7 | ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა (რუსული ჯგუფი) . . . . . . | 1 | 30 | „ | „ | 70 | 90 | ცხინვალი |
| | **დ ე კ ე მ ბ ე რ ი** | | | | | | | |
| 1 | ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა 2/XII—16/XII . . . . | 2 | 60 | 13 დღე | დასწრ. დაუსწ. | 42 | 194 | თბილისი |
| 2 | ქართული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა 2/XII—21/XII | 2 | 60 | 20 დღე | „ | 14 | 198 | „ |
| 3 | ფიზიკის მასწავლებელთა 2/XII—21/XII . . | 2 | 60 | „ | „ | 44 | 148 | „ |
| 4 | ქიმიის მასწავლებელთა 2/XII—21/XII . . | 2 | 60 | „ | „ | 34 | 162 | „ |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

1968 წლის 23 თებერვალი

### მშრომელთა საჩივრების შესახებ სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის გამო

განათლების სამინისტროში 1967 წელს სულ შემოსულია 11 ათასამდე წერილი, რომელთაგან საკმაოდ ბევრია სამუშაოზე მოწყობის, გადაადგილების, დათხოვნის და შრომითი ხასიათის სხვა საკითხებზე.

მიღებული ზომების შედეგად, უკანასკნელ წელს საგრძნობლად შემცირდა მშრომელთა წერილების საერთო რაოდენობა. ზოგიერთი რაიონიდან თითქმის სრულებით შეწყდა საჩივრები (ხობი, ყაზბეგი, ჩოხატაური, ლანჩხუთი, ამბროლაური, თიანეთი) ხოლო ზოგან კი მინიმუმამდეა შემცირებული (დმანისი, წალკა, ონი და სხვ.).

საქართველოს სსრ ზოგ რაიონში არ შეიმჩნევა შრომის კანონმდებლობის დარღვევის რაიმე ყურადსაღები შემთხვევები.

ამავე დროს ბევრი საჩივარი შემოდის: გარდაბნის, გურჯაანის, მარნეულის რაიონებიდან და ქ. რუსთავიდან.

შემოსული წერილებიდან განსახილველად და ზომების მისაღებად გადაეცა კადრების განყოფილებას 2550-ზე მეტი წერილი, საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს 2200-მდე, სკოლების სამმართველოს 1500-ზე მეტი, საგეგმო-საფინანსო სამმართველოს 1140 და ა. შ.

შემოსული წერილების ანალიზიდან ირკვევა, რომ წერილების საგრძნობი რაოდენობა შეიცავს სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და განათლების ორგანოების მიმართ მასწავლებლებისა და

სკოლის სხვა მუშაკთა საჩივრებს შრომითი უფლებების დარღვევებზე.

წერილების ავტორები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ განათლების ორგანოებში მშრომელთა საჩივრებზე დროულად არ ახდენენ რეაგირებას, აჭიანურებენ საკითხების გადაწყვეტას და არ იღებენ გადამჭრელ ზომებს შრომის კანონების დამრღვევთა მიმართ. ამის გამო, დაუსაბუთებლად დათხოვნილი მუშაკები ხშირად საჩივრებით მიმართავენ სასამართლოებისა და პროკურატურის უწყებებს, ზოგჯერ კი ზემდგომ სადირექტივო ორგანოებს.

მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოდან დათხოვნა არის უკიდურესი ზომა, განათლების ორგანოების ზოგიერთი ხელმძღვანელი მოურიდებლად მიმართავს ამ ზომას, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ გააჩნია კანონმდებლობით გათვალისწინებული საამისო საფუძველი, ამასთან არ უწევს ანგარიშს იმ გარემოებას, რომ მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა კანონში გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოტივით, შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევაა.

ხშირია შემთხვევები მოქმედი დისციპლინარული კანონმდებლობის დარღვევებისა. სახელდობრ, მუშაკებს ზოგჯერ სასჯელი ედებათ ახსნა-განმარტების წინასწარ მოუსმენლად, ან კიდევ სასჯელის დადებისათვის დაწესებული ვადების გასვლის შემდეგ.

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს აგრეთვე შრომის წიგნაკებისა და მომუშავეთა პირადი საქმეების წარმოებას. წიგნაკებში გაკეთებული ჩანაწერები სამუშაოდან დათხოვნის საკითხებზე ხშირად არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, რის გამო შეუძლებელია იმის დადგენა თუ რა საფუძვლითაა მუშაკი განთავისუფლებული. შრომის წიგნაკებზე არ არის პატრონის ხელისმოწერა. სამსახურებრივ საქმეში მომხდარი ცვლილებები არ არის დადასტურებული დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით. ბევრგან წიგნაკში სრულებით არ არის შეტანილი ჩანაწერების საფუძველი. ზოგ რაიონში მომუშავეთა საგრძნობ ნაწილს არ გააჩნია შრომის წიგნაკი და სხვ. ყოველივე ამის გამო, შემდგომში მომუშავეთა სამსახურებრივი მდგომარეობის დადგენა ძნელდება, რაც იწვევს მშრომელთა სამართლიან საჩივრებს.

შრომის წიგნაკების წარმოების საქმეში არ არის წესრიგი დამყარებული, განსაკუთრებით გარდაბნის, ხაშურის, ლენტეხის და ზოგიერთ სხვა რაიონში.

ღლემდე საკმაოდ ხშირია შემთხვევა, როდესაც მუშაკებს სამუშაოდან ითხოვენ ადგილობრივი პროფორგანიზაციის წინასწარი თანხმობის გარეშე, დასათხოვნი პირის გამოუძახებლად. ზოგჯერ ადგილკომის მიერ სანქციის გაფორმება ხდება დათხოვნის ბრძანების გამოცემის შემდეგ (ზესტაფონის, გურჯაანის, გარდაბნის რაიონების განათლების განყოფილებები და სხვ.).

შრომითი საქმეების გაჭიანურება, მუშაკების უკანონოდ დათხოვნა, გარდა იმისა, რომ მორალურ ზიანს აყენებს სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნილ პირს, მატერიალურადაც მეტად საზიანოა, როგორც სამუშაოდან არასწორად განთავისუფლებულ პირთათვის, აგრეთვე სკოლებისა და განათლების ორგანოებისათვის.

ზოგიერთი ადგილობრივი განათლების ორგანო საკმაო პასუხისმგებლობით არ ეკიდება განათლების სამინისტროს დავალებების დროულად შესრულების საქმეს შრომითი ხასიათის საკითხებზე, აჭიანურებს მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვას, აგვიანებს პასუხს, რაც აგრეთვე ამ წერილების ავტორების სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს (ბოგდანოვკის, წითელწყაროს, ბოლნისისა და სხვა რაიონების განათლების განყოფილებები).

სადირექტივო ორგანოებმა განიხილეს საკითხი მშრომელთა საჩივრების შესახებ სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის გამო და დაავალეს სამინისტროებსა და უწყებებს შეიმუშაონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი შრომითი კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევების აღსაკვეთად.

ზემოხსენებული დადგენილების განუხრელად გატარების უზრუნველსაყოფად კოლეგია ა დ გ ე ნ ს:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა „მშრომელთა წერილების განხილვისა და მშრომელთა მიღების საქმის გაუმჯობესების შესახებ" საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 29 დეკემბრის დადგენილების განუხრელად გატარების საფუძველზე არ დაუშვან მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა უკანონოდ დათხოვნის არც ერთი შემთხვევა და ზუსტად დაიცვან მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები ყველა ბრძანებისა და სხვა ნორმატიული ხასიათის დოკუმენტების გამოცემის დროს.

სისტემატურად წელიწადში ორჯერ მაინც, ღრმა ანალიზი გაუკეთონ შემოსულ მშრომელთა წერილებს, განცხადებებსა და საჩივრებს; რეგულარულად მოისმინონ ეს საკითხი კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე და მიიღონ კონკრეტული ზომები მშრომელთა საჩივრების წარმოშობი მიზეზების აღმოსაფხვრელად და შრომითი დავების აღსაკვეთად.

2. კოლეგია აფრთხილებს სახალხო განათლების ყველა ორგანოს და განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ყველა დაწესებულების ხელმძღვანელს იმის შესახებ, რომ სასამართლო ორგანოების ან ზემდგომი ორგანოების მიერ უკანონოდ დათხოვნილი პირის სამუშაოზე აღდგენის შემთხვევაში მკაცრი დისციპლინარული სასჯელი დაედება იმ პირთ, რომელთა მიზეზითაც იქნება დაშვებული მუშაკის უკანონოდ დათხოვნა.

ასევე მკაცრი სასჯელი დაედება იმ პირთ, რომლებიც გააჭიანურებენ, უდარდელობას ან უპასუხისმგებლობას გამოიჩენენ მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმისადმი.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ ადგილებზე შესამოწმებლად გაგზავნილი მშრომელთა წერილები და განცხადებები შეამოწმონ უშუალოდ განათლების ორგანოების მუშაკებმა და შედეგების შესახებ დაუყოვნებლივ მოახსენონ სამინისტროს.

4. კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე), ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებასთან ერთად, დაამუშაოს სახალხო განათლების მუშაკთა უფლებრივი კვალიფიკაციის ამაღლების გეგმა და პროგრამა და უზრუნველყოს მათი განხორციელება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის, მისი ფილიალებისა და სახალხო განათლების მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებელ ყველა სხვა ფორმის საშუალებით.

5. კადრების განყოფილების უფროსმა ამხ. ი. კვაჭაძემ თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წლის 22 თებერვლის № 157 ბრძანება

### ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლების V—VI—VII კლასების ხელმძღვანელთა სამოქალაქო თავდაცვის რესპუბლიკურ კურსებზე გადამზადების შესახებ

§ 1

ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად 1968 წლის 4 მარტიდან 28 დეკემბრამდე სოფელ საგურამოში ჩატარდეს საშუალო და რვაწლიანი სკოლების V—VI—VII კლასების ხელმძღვანელთა 6—დღიანი რესპუბლიკური კურსები.

§ 2

კურსებზე მისავლინებელ მასწავლებელთა კონტინგენტი დამტკიცდეს (დანართი თან ერთვის).

§ 3

რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებმა და სამოქალაქო თავდაცვის შესაბამისი შტაბების უფროსებმა:

ა) თანახმად დამტკიცებული გეგმისა შეარჩიონ საშუალო და რვაწლიანი სკოლების V—VI—VII კლასების ხელმძღვანელები, დროულად და უკლებლივ მიავლინონ ისინი კურსებზე;

ბ) კურსებზე მივლინებულ მასწავლებლებს ადგილებზე მიეცეთ სამივლინებო ხარჯები (გზა ორივე მიმართულებით, ბინის ხარჯები 5 დღისა, ხოლო იმ მასწავლებლებს, რომელთა თვიური ხელფასი არ აღემატება 100 მანეთს, მიეცეთ დღიური 66 კაპ. რაოდენობით);

გ) კურსებზე მივლინებულ მასწავლებლებს კურსებზე ყოფნის პერიოდში ადგილზე შეუნარჩუნდეთ საშუალო ხელფასი.

§ 4

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებამ და სამოქალაქო თავდაცვის შესაბამისი შტაბების უფროსებმა:

ა) 1968 წლის 20 აგვისტოდან 25 აგვისტომდე ადგილებზე ჩაატარონ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლების V—VI—VII კლასების ყველა ხელმძღვანელის გადამზადება;

ბ) კურსების ნორმალურად ჩატარების მიზნით, წინასწარ გამოყონ და სათანადოდ მოაწყონ სასკოლო შენობები და უზრუნველყონ ისინი ყველა საჭირო მოწყობილობითა და ინვენტარით.

სამოქალაქო თავდაცვის რესპუბლიკურმა კურსებმა (ამხ. ა. ნ. ცინცაძე):

ა) აღნიშნული ღონისძიების ჩასატარებლად შეარჩიოს საჭირო რაოდენობის ლექტორთა შემადგენლობა და დროულად მიავლინოს ისინი ზემოაღნიშნულ ქალაქებში;

ბ) სათანადო ღონისძიებების გატარებით მიაღწიოს კურსების მუშაობაში სწავლების მაღალ ხარისხს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სამოქალაქო თავდაცვის პროგრამით გათვალისწინებული თემების პრაქტიკულად შესრულებასა და სწავლების მეთოდების საკითხების საფუძვლიანად დაუფლებას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის სათანადო განყოფილებათა მუშაკებმა (ამხ. ამხ. ა. ორახელაშვილი და ნ. მესერიძე) თვალყური ადევნონ ამ ბრძანების შესრულებას და შედეგები პერიოდულად მოგვახსენონ.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის
უფროსი გენერალ-მაიორი
**ი. შაიშმელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წლის 6 თებერვლის ბრძანება № 83

### 1967—68 სასწავლო წლისთავის მოსამზადებლად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგებზე ზოგიერთი რაიონის მიერ მასალების წარმოუდგენლობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1966 წლის 23 დეკემბრის დადგენილებით რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს ევალებოდათ წარმოედგინათ 1967—68 წლისათვის მოსამზადებლად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მასალები. ვინაიდან რიგმა რაიონებმა დროზე ვერ წარმოადგინეს ეს მასალები, განათლების სამინისტრომ 1967 წლის 4 ოქტომბრის № 1/1739 ცირკულარული წერილით განმეორებით მოსთხოვა განათლების განყოფილებებს 25 ოქტომბრამდე აუცილებლად წარმოედგინათ ისინი.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა რაიონმა გამოიჩინა სრული უპასუხისმგებლობა და არავითარი ზომები არ მიიღო დავალების შესასრულებლად. ეს რაიონებია: ბოგდანოვკის, გარდაბნის, მარნეულის, ხაშურის, ყაზბეგის, ჯავის, სოხუმის, გუდაუთის, ოჩამჩირის, გალის, გულრიფშის, და ქ. სოხუმი.

1967 წლის 2 იანვარს № 1/2203 მიმართვით კვლავ იქნა გაფრთხილებული ზემოდ დასახელებული რაიონები, სასწრაფოდ გამოეგზავნათ ახსნა-განმარტება, თუ რა მიზეზით არ იქნა წარმოდგენილი სოცშეჯიბრების მასალები. ხაშურისა და გარდაბნის რაიონებმა ამის შემდეგაც არ გამოგზავნეს მოთხოვნილი მასალები და არც ახსნა-განმარტება წარმოადგინეს. დაუსაბუთებელი ახსნა-განმარტება გამოგზავნეს ბოგდანოვკის, მარნეულის, ყაზბეგის,

ცხინვალის რაიონებმა, ხოლო აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ, მიიღო რა მასალები რაიონებიდან, უყურადღებოდ დატოვა ისინი და არ მისცა შემდგომი მსვლელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 1967—68 სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მასალების გამოუგზავნელობისა და ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შესრულებაზე თავის არიდებისათვის ხაშურის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს კ. ნადირაძეს გამოეცხადოს საყვედური.

2. მკაცრად გაფრთხილებულ იქნან გარდაბნის, ბოგდანოვკის, მარნეულის, ყაზბეგის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეები: ა. ერტელიშვილი ნ. თუმასიანი, ი, გეიდაროვი, გ. კურკუმული სოცშეჯიბრების მასალების დროზე წარმოუდგენლობისათვის.

3. აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ გამოიჩინა სრული უყურადღებობა სოცშეჯიბრების შედეგების განხილვისა და საქ. სსრ განათლების სამინისტროში მისი დროზე გადმოგზავნის საქმეში.

4. აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრმა ა. ჯონუამ და სამხრეთ ოსეთის ა/ო განათლების განყოფილების გამგემ გ. ძაგოევმა განიხილონ რაიონებიდან და ქალაქებიდან სოცშეჯიბრების მასალები წარმოუდგენლობის მიზეზები და დამნაშავეთა მიმართ მიიღონ მკაცრი ზომები. შედეგები მოახსენონ განათლების სამინისტროს 1968 წლის 20 თებერვლამდე.

5. დაისვას საკითხი განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წინაშე განიხილოს საკითხი ბრძანებაში აღნიშნული რაიონებისა და ქალაქების პროფკავშირების კომიტეტის თავმჯდომარეთა შესახებ.

6. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და საქართველოს სსრ დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივი

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

1968 წ. 9 თებერვალი

**სპორტის ტექნიკურ სახეებში რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში მოსწავლეთა სპორტული კოლექტივების შედეგებისა და 1968 წელს ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპულიკური და საკავშირო შეჯიბრებებისათვის მზადების შესახებ**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო და დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ სპორტის ტექნიკურ სახეებში ჩატარებულმა შეჯიბრებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში სპორტის აღნიშნულ სახეებში წრეების შექმნას და ამ მიმართულებით მუშაობის გაუმჯობესებას.

საგრძნობლად გაიზარდა ნორჩ ავიამოდელისტთა, გემთმოდელისტთა, ავტომოდელისტთა და რადიოსპორტული შეჯიბრებების მონაწილეთა რაოდენობა.

1967 წელს ჩატარებული გემთმოდელისტთა IV რესპუბლიკური შეჯიბრების მონაწილე გუნდებისა და მოსწავლეთა რაოდენობა ერთნახევარჯერ მეტი იყო შარშანდელთან შედარებით. იგი მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს და მასში მონაწილეობდა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულების 12 გუნდი 78 მოსწავლის შემადგენლობით. ეს შეჯიბრება მოეწყო ქ. თბილისში ლისის ტბაზე და ორგანიზებულად ჩატარდა. ცალკეული კლასების

მოდელებმა სვლის საუკეთესო შედეგები უჩვენეს. პირადი პირველობები დაისაკუთრეს: სოხუმის მე-17 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლემ ჯემალ კვეკესკირმა—იალქნიანი ნავის მოდელით; თბილისის 22-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ ირაკლი კაციაშვილმა—სამაგიდო მოდელით; თბილისის მე-18 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ გიორგი ხუბერაშვილმა—წყალქვეშა ნავის მოდელით; რუსთავის მე-12 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ ანატოლ შეიკინმა—ხრახნიანი მოდელით.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა:

1 ადგილი დაიკავა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის პირველმა გუნდმა;

II ადგილი დაიკავა სოხუმის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის გუნდმა;

III ადგილი დაიკავა რუსთავის გუნდმა.

შეჯიბრებაზე მოდელთა სხვადასხვა კლასებში გამოვლინდა 18 სპორტული თანრიგოსანი, რომლებმაც შეასრულეს დაწესებული ნორმატივები. აქედან თერთმეტმა მოსწავლემ შეასრულა მოზარდთა I სპორტული თანრიგი, თოხმა—მოზრდილთა III, ხოლო ორმა—მოზარდთა I სპორტული თანრიგი.

ნორჩ რადიოსპორტსმენთა შეჯიბრებამ დაგვანახა, რომ რადიოსპორტი უფრო პოპულარული ხდება და ინტერესს იწვევს მოსწავლე ახალგაზრდობაში. თუ წინა რადიოსპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობდა მხოლოდ ბათუმის გუნდი 1967 წელს ჩატარებულ I რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა ქ. ქ. ქუთაისის, რუსთავის, ბორჯომისა და ორჯონიკიძის რაიონის 9 გუნდი 98 მოსწავლით, რომელთა შორის 22 გოგონა იყო. ჩატარებულმა შეჯიბრებამ გვიჩვენა მოსწავლე რადიოსპორტსმენთა ცოდნის მაღალი დონე და კარგი სპორტული მომზადება.

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებაში ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის სპორტსმენებმა, რომელთაგან დაკომპლექტებული იყო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რადიოსპორტსმენთა ნაკრები გუნდი, მაღალ წარმატებას მიაღწიეს.

ნორჩ რადიომოყვარულ-მოკლეტალღოსანთა სექციამ 3500-ზე მეტი ორმხრივი კავშირი დაამყარა მსოფლიოს 80 ქვეყნის რადიომოყვარულებთან და შეასრულა საზღვარგარეთის ქვეყნების 9 დიპლომის ნორმატივი. შედეგების შეჯამების შედეგად შეჯიბრე-

ბის სამივე სახეში საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის პირველმა გუნდმა მოსწავლეთა შემდეგი შემადგენლობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. სახოკია ვახტანგი—თბილისის 85-ე საშ. სკოლის X კლასი.
2. ყანჩაშვილი მიხეილი—თბილისის 36-ე საშ. სკოლის IX კლასი.
3. ჩოგოვაძე ვლადიმერი—თბილისის 115-ე საშ. სკოლის IX კლასი.
4. ნალბანდიანი კონსტანტინე—თბილისის 66-ე საშ. სკოლის X კლასი.
5. ინჩინი სერგო—თბილისის 41-ე საშ. სკოლის VII კლასი.
6. შმელიოვა ნატაშა—თბილისის 52-ე საშ. სკოლის IX კლასი.
7. ლიაშჩუკი გალინა—თბილისის მე-9 საშ. სკოლის VI კლასი.

მეორე ადგილი დაიკავა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მეორე გუნდმა მოსწავლეთა შემდეგი შემადგენლობით:

1. ქოქიაური გივი—თბილისის მე-12 საშ. სკოლის X კლასი.
2. ვახტანგიშვილი ვახტანგი—თბილისის 120-ე საშ. სკოლის VI კლასი.
3. ვახტანგიშვილი ვლადიმერი—თბილისის 120-ე საშ. სკოლის VII კლასი.
4. ყავრელიშვილი გივი—თბილისის 120-ე საშ. სკოლის VII კლასი.
5. სივილგინი ვლადიმერი—თბილისის 119-ე საშ. სკოლის VII კლასი.
6. შმელიოვა სვეტლანა—თბილისის 1-ლი გახანგრძლივებული სკოლის VIII კლასი.
7. პოლოვინკინა სვეტლანა—თბილისის 96-ე საშ. სკოლის IX კლასი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის რადიოსპორტული კლუბის გუნდმა, რომელშიც შედიოდნენ:

1. სივილგინი ვლადიმერი—თბილისის 119-ე საშ. სკოლის VII კლასის მოსწავლე
2. ჩოგოვაძე ვლადიმერი—თბილისის 115-ე საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლე

3. ყანჩაშვილი მიხეილი—თბილისის 36-ე საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლე

4. ვარსემაშვილი რევაზ—თბილისის 19-ე საშ. სკოლის IX კლასის მოსწალე

5. ლიაშჩუკი გალინა—თბილისის მე-9 საშ. სკოლის VI კლასის მოსწავლე

მათ მონაწილეობა მიიღეს სრულიად საკავშირო პიონერ მოსწავლეთა რადიოთამაშებში, რომლებიც 1967 წლის ნოემბერში ჩატარდა პიონერულ ბანაკ „არტეკში“. ამ თამაშებში მონაწილეობდა სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ოლქების 22 გუნდი. საერთო გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა საქართველოს გუნდმა, რომელსაც გადაეცა სსრ კავშირის დოსააფის ცენტრალური კომიტეტის პრიზი, ხოლო ცალკეულ მოსწავლეებს—ფასიანი საჩუქრები და დიპლომები. ამავე თამაშებში გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ჩვენი რესპუბლიკის „მელიებზე მონადირეთა“ ჯგუფმა, რომელმაც გარდამავალი თასი და 1 ხარისხის დიპლომი მოიპოვა, ხოლო რადიოგრამების მიღება-გადაცემაში მონაწილე მეორე ჯგუფი დაჯილდოვდა ვიმპელით.

საკავშირო მნიშვნელობის ამ ღონისძიებებში დიდ წარმატებებს მიაღწიეს ცალკეულმა მოსწავლეებმა, რომელთა შორის აღსანიშნავია: თბილისის 119-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე ვლადიმერ სივილგინი, თბილისის 115-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე ვლადიმერ ჩოგოვაძე, თბილისის 36-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე მიხეილ ყანჩაშვილი, თბილისის მე-9 საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე გალინა ლიაშჩუკი.

1967 წლის ივნისში ქ. თბილისის ლენინის რაიონის პიონერთა სახლის კორდოდრომზე მოეწყო მოსწავლე-ავტომოდელისტთა მეორე რესპუბლიკური შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, ბათუმის და ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები. შეჯიბრება ორგანიზებულად ჩატარდა, რამაც მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. გუნდური პირველი ადგილი დაიკავა თბილისის რაიონის პიონერთა სახლის გუნდმა (ხელმძღვანელი ზურაბ ზურაბიშვილი), ხოლო მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ავტომოდელისტთა გუნდი. ცალკეულმა მოსწავლეებმა მოდელთა კლასების მიხედვით დიდ წარმატებას მიაღწიეს და პირველი ადგილები დაიკავეს: თბილისის მუშა-ახალგაზრდობის მე-2 სკოლის

X კლასის მოსწავლემ გაიოზ ნიკოლაიშვილმა—5 კუბ. სმ მოცულობის ძრავიანი სარბოლო მოდელით. მანვე მოიპოვა მოსწავლეთა შორის ავტოსამოდელო სპორტში 1967 წლის ჩემპიონის წოდება; თბილისის 129-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ ალექსანდრე ზიზიაშვილმა—აერომობილის ექსპერიმენტული მოდელით; თბილისის 34-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ ალბერტ კაზარიანმა—2,5 კუბ. სმ ძრავიანი სარბოლო მოდელით.

შეჯიბრების ანალიზმა გამოავლინა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები, ასე მაგალითად: შეჯიბრებაზე ადგილი ჰქონდა არასრულად დაკომპლექტებული გუნდების გამოცხადებას, მონაწილენი სათანადოდ არ იყვნენ პრაქტიკულად მომზადებულნი, სპორტის ამ სახეობის არამასობრიობა და კორდოდრომების, მიკროძრავებისა და რადიოაპარატურის უქონლობა უარყოფით გავლენას ახდენს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სპორტის ამ სახეობის განვითარებაზე.

ავიამოდელისტთა XXXVI რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 16 გუნდი 178 მოსწავლით. მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი მოდელები გამოირჩეოდნენ კარგი საფრენოსნო მონაცემებით. შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ ავიამოდელიზმი უფრო პოპულარული ხდება მოსწავლეთა შორის, რაც დასტურდება სპორტულ-ტექნიკური შედეგებითა და შეჯიბრებაში მონაწილეთა რიცხვის ზრდით. შეჯიბრებაში პირველად მონაწილეობდნენ ხაშურის, მახარაძისა და საჩხერის სკოლების მოსწავლეები. კარგი სპორტული შედეგები აჩვენეს თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის, რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის, ხაშურის პიონერთა სახლის, თბილისის 83-ე საშუალო სკოლისა და ჭიათურის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ნორჩ ავიამოდელისტთა გუნდებმა. ფრენისათვის არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო შეუძლებელი იყო მაღალი მაჩვენებლების მიღწევა, მიუხედავად ამისა, შეჯიბრების შედეგები დამაკმაყოფილებლად იქნა მიჩნეული მსაჯთა კოლეგიის მიერ.

მოდელების ცალკეული კლასების მიხედვით რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ მოსწავლეები: გონგინი ალექსანდრე, ჟუკოვი ვლადიმერი, მელიქიშვილი ირაკლი და კარპოვი ალექსანდრე.

ამ შეჯიბრებაზე არ იყო წარმოდგენილი რადიოთი სამართავი მოდელები. ეს აიხსნება იმით, რომ რესპუბლიკის ნორჩ ავია-

მოდელისტებს არ გააჩნიათ საიმედო რადიოაპარატურა, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა შეჯიბრების პირობებში შეუფერხებელი მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩატარებულმა რესპუბლიკურმა შეჯიბრებამ წარმატებებთან ერთად გამოავლინა ისიც, რომ ზოგიერთი სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულება და ბევრი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა არ მონაწილეობდა შეჯიბრებაში. რესპუბლიკის ისეთი მსხვილი ცენტრები როგორიცაა ქ. სოხუმი, ცხინვალი, გორი, ფოთი, ჭიათურა, ზესტაფონი, თელავი, გურჯაანი, სიღნაღი არ იყვნენ წარმოდგენილი შეჯიბრებაში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო და საქართველოს სსრ დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. სპორტის ტექნიკურ სახეებში შეჯიბრების ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში, გამარჯვებული გუნდებისა და ცალკეული მოსწავლეების დაჯილდოების შესახებ დამტკიცდეს (სია თან ერთვის).

2. რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ:

### პირველი ხარისხის დიპლომით

1. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის გემთსამოდელო ლაბორატორია.
2. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის რადიოსპორტული სექცია.
3. თბილისის ლენინის რაიონის პიონერთა სახლის ავტომოდელისტთა წრე.
4. ქ. თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ავიასამოდელო წრე.

### მეორე ხარისხის დიპლომით

1. ქ. თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ავტომოდელისტთა წრე.
2. ქ. სოხუმის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის გემთმოდელისტთა წრე.
3. ქ. რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ავიასამოდელო წრე.

ბიბლიოთეკა

1. ქ. რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის გემთმოდელისტთა წრე.

2. ქ. ჭიათურის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ავიასამოდელო წრე.

3. ქ. ხაშურის პიონერთა სახლის ავიასამოდელო წრე.

4. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ავიასამოდელო წრე.

5. ქ. თბილისის 83-ე საშუალო სკოლის ავიასამოდელო წრე.

პირველი პრემიით (10 მანეთის ფასიანი საჩუქრითა და 1-ლი ხარისხის დიპლომით):

1. სოხაშვილი არჩილი—თბილისის მე-14 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

2. კაზარიანი ალბერტი—თბილისის 34-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

3. ნიკოლაიშვილი გაიოზი—თბილისის მუშა-ახალგაზრდობის მე-2 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

4. ზიზიაშვილი ალექსანდრე—თბილისის 129-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

5. ხუბერაშვილი გიორგი—თბილისის მე-18 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

6. კაციაშვილი ირაკლი—თბილისის მუშა-ახალგაზრდობის 22-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

7. გავა ვლადიმერი—თბილისის 64-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

8. ქვეკესკირი ჯემალი—სოხუმის მე-17 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

9. შეიკინი ანატოლი—რუსთავის მე-12 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

10. მინარიანი ოვანესი—სოხუმის მე-8 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

11. კარპოვი ალექსანდრე—თბილისის 63-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

12. მელიქიშვილი ირაკლი—თბილისის მე-7 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

13. გონგინი ალექსანდრე—თბილისის 37-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

14. ჟუკოვი ვლადიმერი—რუსთავის მე-12 საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.

15. სოხაშვილი სპარტაკი—ქ. თბილისის მე-14 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

**მეორე პრემიით (5 მანეთის ფასიანი საჩუქრითა და მე-2 ხარისხის დიპლომით) დაჯილდოვდნენ მოსწავლეები:**

1. ბედია ზაური—თბილისის 132-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

2. ჩერქეზიშვილი ალექსანდრე—თბილისის მე-19 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

3. იაზიჩიანი პეტრე—სოხუმის მე-4 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

4, მუსელიანი გიორგი—ქუთაისის მე-17 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

5. სკრიაბინი გიორგი—რუსთავის მე-12 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

6. თაბუევი გიორგი—ცხინვალის სკოლა-ინტერნატის VIII კლასის მოსწავლე.

7. ჯიოევი ჩერმენი—ცხინვალის სკოლა-ინტერნატის VIII კლასის მოსწავლე.

8. პოლოსოვი იაგორი—თბილისის 44-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

9. იშჩენკო ვალერიანი—რუსთავის მუშა-ახალგაზრდობის მე-4 სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

10. შავიშვილი ვიქტორი—თბილისის მე-2 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

11. რომანენკო გრიგოლი—თბილისის 83-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

**მესამე ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდნენ მოსწავლეები**

1. კუხიანიძე ვახტანგი—ქუთაისის მე-17 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

2. ჯლარკავა ჯემალი—თბილისის მე-18 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

3. მუმლაური ზაური—თბილისის მე-18 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

4. ლომთაძე გიორგი—ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

5. ნურალოვი იური—თბილისის 122-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

6. ოსიპოვი ვიქტორი—რუსთავის მე-5 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

7. ნიკოლაევი ლევანი—თბილისის მე-3 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

8. თედეშვილი რუსუდანი—ახმეტის მე-2 საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე

4 სპორტის ტექნიკურ სახეობათა შეჯიბრებებში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ სიგელებით სკოლისა და სკოლის გარეშე დაწესებულებათა შემდეგი მუშაკები:

1. ლატარია თენგიზი—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის გემთსამოდელო ლაბორატორიის გამგე.

2. არენშელდი არტური—ქუთაისის პიონერთა სახლის გემთსამოდელო წრის ხელმძღვანელი.

3. ჯიშკარიანი გენო—ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის გემთმოდელისტთა წრის ხელმძღვანელი.

4. გუგუნავა ლამარა—თბილისის ლენინის რაიონის პიონერთა სახლის დირექტორი.

5. ჭუბაბრია თენგიზი—საქართველოს სსრ დოსააფის ავტომოტოკლუბის ინსტრუქტორი.

6. ზურაბიშვილი ზურაბი—თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ავტომოდელისტთა წრის ხელმძღვანელი.

7. ნიკოლაიშვილი თენგიზი—თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის უფროსი ტექნოლოგი.

8. ინჯია ნოდარი—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის სატრანსპორტო ლაბორატორიის გამგე.

9. ტოკარევი ივანე—ბორის ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ავიასამოდელო კაბინეტის გამგე.

10. სტარინინი ვიტალი—რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ავიასამოდელო წრის ხელმძღვანელი.

11. შამტკოვი რუდოლფ—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ავიასამოდელო ლაბორატორიის გამგე.

12. ბერძენიშვილი უშანგი—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის რადიოსპორტული სექციის ხელმძღვანელი.

13. გელბახიანი ნოდარი—საჩხერის პიონერთა სახლის ავიასამოდელო წრის ხელმძღვანელი.

14. ტაბიძე რევაზი—ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ავტომოდელისტთა წრის ხელმძღვანელი.

15. წილოსანი ვიქტორ—ჭიათურის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ავიასამოდელო წრის ხელმძღვანელი.

5. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე 1968 წელს ჩატარდეს რესპუბლიკური შეჯიბრებები სპორტის ტექნიკურ სახეებში.

შეჯიბრებები მიეძღვნას ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს და ჩატარდეს შემდეგ ვადებში:

ა) ნორჩ რადიოსპორტსმენთა მეორე რესპუბლიკური შეჯიბრება—1968 წლის 7-დან 12 მაისამდე;

ბ) ნორჩ ავტომოდელისტთა მესამე რესპუბლიკური შეჯიბრება—1968 წლის 26-დან 28 ივნისამდე;

გ) ნორჩ ავიამოდელისტთა XXXVII პირად-გუნდური რესპუბლიკური შეჯიბრება 1968 წლის 6-დან 10 ივლისამდე;

დ) ნორჩ გემთმოდელისტთა მეხუთე რესპუბლიკური შეჯიბრება—1968 წლის 27-დან 30 ივნისამდე;

6. სპორტის ტექნიკურ სახეებში შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ბერიზაშვილი ირაკლი—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე—საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

2. ნიკოლაიშვილი თამაზ—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

3. კუპატაძე პავლე—დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

4. ნინუა ჯემალი—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე.

5. შევარდნაძე ალექსანდრე—დოსააფის რესპუბლიკური კომ-

მიტეტის მაშველი სადგურებისა და საზღვაო კადრების მომზადების უფროსი

6. არჩვაძე პავლე—დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის ავიასპორტკლუბის უფროსი

7. ბაცელაშვილი ირაკლი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსი.

8. ორახელაშვილი ალექსანდრე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების ინსპექტორი

9. ეპიტაშვილი გიორგი—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი.

10. ლავრენტიევი ანდრია—დოსააფის თბილისის კომიტეტის საზღვაო კლუბის უფროსის მოადგილე.

11. კიკნაძე გიორგი—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მეთოდისტი.

12. ჩხაიძე თენგიზ—დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის ავტომოტოკლუბის უფროსის მოადგილე.

13. შმატკოვი რუდოლფ—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ავიასამოდელო წრის ხელმძღვანელი.

7. ნორჩ რადიოსპორტსმენთა და ავტომოდელისტთა II, გემთმოდელისტთა V და ნორჩ ავიამოდელისტთა XXXVII რესპუბლიკური შეჯიბრებების დებულებები დამტკიცდეს (თან ერთვის).

8. სპორტის ტექნიკურ სახეებში შეჯიბრებების ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა უხელმძღვანელოს შეჯიბრებების მომზადებასა და ჩატარებას და პერიოდულად მოახსენოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს შეჯიბრებებისათვის რაიონებისა და ქალაქების ნაკრები გუნდების მზადყოფნის შესახებ.

9. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა (ამხ. გ. ეპიტაშვილი):

ა) დროულად ჩაატაროს მოსამზადებელი მუშაობა და მოსწავლეთა ტექნიკური წრეები უზრუნველყოს საჭირო მეთოდური მასალებით;

ბ) სათანადო დახმარება გაუწიოს სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში არსებულ სპორტის ტექნიკური წრეების ხელმძღვანელებს შეჯიბრების ორგანიზებულად მოწყობაში;

გ) მიავლინოს სპეციალისტები რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში შეჯიბრების მზადების პერიოდში სკოლებისათვის დახმარების გასაწევად, ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს ახლადჩამოყალიბებულ ავიამოდელისტთა, რადიოსპორტულ, გემთმოდელისტთა და ავტომოდელისტთა წრეებს;

დ) ა/წლის 15 თებერვლამდე შეადგინოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველოს სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებთან არსებული ტექნიკური წრეების მუშაობისა და შეჯიბრებების ჩატარებისათვის აუცილებელი მასალებისა და ხელსაწყოების სია;

ე) 1968/69 სასწავლო წლის დაწყებისათვის უზრუნველყოს სპორტის ტექნიკურ სახეებში მოქმედ მოდელთა აღწერილობების მომზადება და მათი მასობრივი ტირაჟით გამოშვება.

10. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო, სარაიონო კომიტეტების მდივნებმა და საქართველოს დოსააფის საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტების თავმჯდომარეებმა:

ა) რვაწლიანი, საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა დირექტორებსა და ტექნიკური წრეების ხელმძღვანელებს გააცნონ სპორტის ტექნიკურ სახეებში ჩატარებული რესპუბლიკური შეჯიბრებების შედეგები, მომავალ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის პირობები და უზრუნველყონ შეჯიბრებებში მოსწავლეთა ფართო მონაწილეობა;

ბ) შეჯიბრებების ჩატარებისას ზუსტად იხელმძღვანელონ არსებული პროგრამებითა და დებულებებით;

გ) დებულების მიხედვით შექმნან ხელშემწყობი კომიტეტები და ადგილებზე ჩაატარონ შეჯიბრებები;

დ) მიიღონ გადამჭრელი ზომები, რათა სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში, სადაც დღემდე შექმნილი არაა სპორტის ტექნიკური წრეები, ჩამოაყალიბონ ასეთი და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მათ ნაყოფიერ მუშაობას;

ე) განემარტოთ რვაწლიანი, საშუალო სკოლების, სკოლა-

ინტერნატების დირექტორებს და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომ ამიერიდან სპორტის ტექნიკურ სახეებში შეჯიბრებები ჩატარდება ყოველწლიურად და მასში მონაწილეობის მისაღებად საჭირო მზადება დაიწყონ სასწავლო წლის დასაწყისიდან.

11. ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების, ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო და საქალაქო სადგურებისა და პიონერთა სახლების დირექტორებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ სპორტის ტექნიკურ სახეებში წრეების შესაქმნელად, წრეების მუშაობისათვის შექმნან ნორმალური პირობები და მთელი მათი საქმიანობა დაუკავშირონ მომავალი შეჯიბრებების ამოცანებს.

12. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) გაითვალისწინოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის 1968 წლის ბიუჯეტში სპორტის ტექნიკურ სახეებში რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარებისა და მოქმედ მოდელთა აღწერილობების შედგენისა და დაბეჭდვისათვის საჭირო თანხა;

13. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე):

ა) სპორტის ტექნიკური სახეების შეჯიბრებების საორგანიზაციო კომიტეტის მოთხოვნათა შესაბამისად ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს შეჯიბრებების საჭიროებისათვის გამოუყოს მასალები, ხელსაწყოები და ინვენტარი;

ბ) მოქმედი მოდელების აღწერილობებისა და ნახაზების დაბეჭდვისათვის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს გამოუყოს 500 კილოგრამი საბეჭდი ქაღალდი.

14. გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის", „მოლოდიოჟ გრუზიის", „ნორჩი ლენინელის", „სახალხო განათლების", ჟურნალების „სკოლა და ცხოვრების" და „პიონერის" რედაქციებმა პერიოდულად გააშუქონ სპორტის ტექნიკურ სახეებში წრეობრივი მუშაობისა და შეჯიბრებებისათვის მზადების საკითხები.

15. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ 1968 წლიდან სპორტის ტექნიკურ სახეებში შეჯიბრებების ჩატარება გათვალისწინებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპორტულ-მასობრივ ღონისძიებათა კალენდარში.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და საქართველოს დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1968 წლის 9 თებერვლის ერთობლივი დადგენილება.

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის მდივანი
**რ. მეტრეველი**

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

დოსააფის საქართველოს რესპუბლიკური
კომიტეტის თავმჯდომარე
**ვ. ჯანჯღავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა

1968 წლის 5 აპრილი

**საბჭოთა არმიის არსებობის 50 წლისთავთან დაკავშირებით ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და განათლების უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით.**

1. ავაქოვი გიორგი გაიკის ძე—სამამულო ომის ვეტერანი, საზოგადოებრივი ინსპექტორი.
2. გიორგაძე ივანე იოსების ძე—თბილისის 88-ე საშუალო სკოლის დირექტორი.
3. გუნცაძე ბიძინა იოსების ძე—გორის რაიონ. განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი სამოქალაქო თავდაცვის მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე
4. გენძეხაძე ილია ბესარიონის ძე—ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების გამგე.
5. დვალი ნიკოლოზ გიორგის ძე—ბაკურიანის საშუალო სკოლის სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელი
6. დიაკონიძე ნოე მიხეილის ძე—თერჯოლის საშ. სკოლის სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელი.
7. ერისთავი მზია ალექსანდრეს ასული-ტურისტული სადგურის დირექტორი
8. ეპიტაშვილი გიორგი გიორგის ძე—ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის დირექტორი

9. ელბაქიანი პეტრე კარაპეტის ძე—თბილისის 31-ე საშუალო სკოლის სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელი.

10. ვასაძე მიხეილ სარდიონის ძე—მახარაძის 1-ლი საშ. სკოლის სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. კობახიძე გრიგოლ ბეგლარის ძე—თბილისის 77-ე საშ. სკოლის დირექტორი

12. კვეტენაძე გუგული სერაპიონის ძე—ზესტაფონის რ-ნის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი, სთ მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე.

13. კინწურაშვილი მიხეილ ბუხუტის ძე—საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის მე-2 განყოფილების უფროსი

14. კასრაძე ელენე გიორგის ასული—განათლების სამინისტროს მე-2 განყ. ინსპექტორი

15. ლასკარი გივი გრიგოლის ძე—თბილისის 62-ე საშ. სკოლის სამოქალაქო თავდაცის მასწავლებელი

16. ლეჟავა შოთა იასონის ძე—აჭარისწყლის საშ. სკოლის სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელი

17. მუმლაძე ნიკოლოზ პავლეს ძე—თბილისის მე-19 საშ. სკოლის სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელი

18. მახარაძე მარიამ ივანეს ასული—თბილისის 66-ე საშ. სკოლის დირექტორი.

19. მაჭარაშვილი ანტონ არჩილის ძე—კიროვის რაიონ. განათლების განყოფილების გამგე

20. მაჭავარიანი ილია ელისეს ძე—საგარეჯოს რაიონის ხაშმის საშ. სკოლის სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელი.

21. მოქერია ვლადიმერ ილიას ძე ბათუმის განყ. არსებ. სამოქალაქო თავდაცვის მეთოდური საბჭოს წევრი.

22. მესერიძე ნოდარ ომარის ძე—საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის განყოფილების უფროსი

23. ნადირაძე ლევან გრიგოლის ძე—თბილისის მე-60 საშ. სკოლის სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელი.

24. ონიანი გრიგოლ ერისტოს ძე—თბილისის 62-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

25. პარკაძე ვასილ იონათამის ძე—თბილისის 89-ე საშ. სკოლის სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელი

26. რუხაძე უშანგი ალექსანდრეს ძე—1-ლი მაისის რაიონ. განათლების განყოფილების გამგე.

27. ჩხაიძე ნიკიტა არტემის ძე—თბილისის მე-12 საშ. სკოლის სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელი.

28. ჩხიკვაძე აკაკი ერმალოზის ძე—ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგის მოადგილე

29. შოთაძე გრიგოლ ანტონის ძე—თბილისის 56-ე საშ. სკოლის სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელი.

30. შარტავა კალისტრატე თეოფილეს ძე—ცხაკაიას რაიონ.—განათლების განყოფილების გამგე

31. ხავთასი ხალამპრე ივანეს ძე—მახარაძის რაიონ. განათლების განყოფილების გამგე

32. ქუთათელაძე ვახტანგ იოსების ძე—მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კაბინეტის გამგე

33. ჭილკარია მირიან სიმონის ძე—ამბროლაურის რაიონის განათ. განყ. გამგე.

34. რევაზიშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე—ხაშურის I-ლი საშ. სკოლის სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელი

35. რონსაძე სევერიან ისიდორეს ძე—ქ. რუსთავის განათლების განყოფილების გამგე

36. აროშვილი ვლადიმერ ალექსის ძე—გურჯაანის რაიონის სოფ. არაშენდის საშ. სკოლის სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელი.

37. არველაძე სიმონ ნიკიფორეს ძე—განათლების სამინისტრო, სამმართველოს უფროსი.

38. ბიბილეიშვილი სავლე სოფრომის ძე—განათლების სამინისტრო, სამნეო განყოფილების გამგე.

39. ბერიშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე—განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

40. ბაცელაშვილი ირაკლი ბეგლარის ძე—განათლების სამინისტროს განყოფილების უფროსი

41. ბებურიშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე—განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

42. კანდელაკი რევაზ სევერიანის ძე—განათლების სამინისტროს სამმართველოს უფროსი

43. ორახელაშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე—განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

44. ტონია სერგო კონსტანტინეს ძე—განათლების სამინისტროს განყოფილების უფროსი

45. შენგელია გრიგოლ ნოეს ძე—განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

46. უშვერიძე იაკობ მიხეილის ძე—განათლების სამინისტროს განყოფილების უფროსი

47. სხირტლაძე მიხეილ ილიას ძე—განათლების სამინისტროს რევიზორ-ინსპექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ლ. მაღლაფერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი


1. დადგენილება—ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე ზემდგომი ორგანოების დადგენილების მიმდინარეობისა და მისი ცხოვრებაში გატარებისათვის სახალხო განათლების ორგანოებისა და პროფკავშირის კომიტეტების მუშაობის შესახებ . . . . . . . . . 3
2. ბრძანება № 241—საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლებში საყოველთაო განათლების კანონის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ . . 12
3. ბრძანება № 48—რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი სკოლამდელ მუშაკთა რესპუბლიკური კონფერენციის შედეგების მიხედვით . . . . . 22
4. ბრძანება № 197—ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ბუნების ნორჩ მეგობართა მე-3 რესპუბლიკური შეკრების შედეგებისა და მე-4 შეკრების ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . . . . 32
5. ცირკულარული წერილი № 1/283 . . . . . . 42
6. დადგენილება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებათა 1967 წლის შედეგებისა და 1968 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ . . . . . . . . 52
7. დადგენილება მშრომელთა საჩივრების შესახებ სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის გამო. . . . . . . . . 69
8. ბრძანება № 157—ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლების V—VI—VII კლასების ხელმძღვანელთა სამოქალაქო თავდაცვის რესპუბლიკურ კურსებზე გადამზადების შესახებ . . . . . 73
9. ბრძანება № 83—1967—1968 სასწავლო წლისთავის მოსამზადებლად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგებზე ზოგიერთი რაიონის მიერ მასალების წარმოუდგენლობის შესახებ . . . . . 75
10. დადგენილება სპორტის ტექნიკურ სახეებში რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში მოსწავლეთა სპორტული კოლექტივების შედეგებისა და 1968 წელს ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური და საკავშირო შეჯიბრებებისათვის მზადების შესახებ . 77
11. დადგენილება საბჭოთა არმიის არსებობის 50 წლისთავთან დაკავშირებით ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ . . . . . 91

ეროვნული ბიბლიოთეკა
Контрольный экземпляр

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

**ფასი 12 კაპ.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/IV-68 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5. ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 6.

შეკვ. 366. უე—09978. ტირაჟი 5.000.

---

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
Типография № 11 Главполиграфпрома Комитети по печати при Совете Министров Груз. ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19